ეროვნული თავისუფლებიs გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 3 (1441) | 9-15 თებერვალი 1996 წ.

თბილისის წარსული



თბილისის აწმყო



ამ ფოტოებს არ ვაქვეყნებთ კომუნისტებისადმი ნოსტალგიის გრძნობით (კაცმა რომ თქვას, ქვეყანას ახლაც სწორედ ისინი მართავენ), არც იმის გამო, რომ გაჭირვებულ ხალხს თავიანთი გასაჭირი კიდევ ერთხელ შევახსენოთ და ამით ცეცხლზე ნავთი დავასხათ. ასეც რომ გვსურდეს, სად არის ნავთი?

„საინტერესოა მაინც, ჯუმბერ პატიაშვილი, ისიც ცკ-ს მდივანი, ისიც შევარდნაძის კოლეგა, რატომ ვერ იტანდა შევარდნაძეს?"..

*

„მოსკოვში შევარდნაძის სისხლი ბევრს სწყუროდა"...

*

„სოლიკო პრიმაკოვმა დაიცვა"...

*

„ნეტავ შევარდნაძე თუა მდიდარი"...

*

„გორბაჩოვის და კოლის ფინალური შეხვედრა საქართველოში შედგა"...

ეს საინტერესო წერილი იხილეთ მე-8 გვ.

ძვირფასო მძღოლებო!
თქვენთვის სასურველია თან იქონიოთ ჩვენი გაზეთის ეს ნომერი

იხილეთ მე-7 გვ.

## ვინ როგორ ფიქრობს
## ციტატა

„თუ კავკასიის ხალხებს სურთ ბალტიის რესპუბლიკების მსგავსად ბოლომდე გათავისუფლდნენ რუსეთისაგან, ეს მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შეიძლება მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთთან დაპირისპირებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან სათითაოდ იოლად გაგვისწორდება და ისე მოგვაშთობს, როგორც ახლა აკეთებს ამას“.

ნაირა გელაშვილი
3.02.1996 წ.

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამხედრო ფაზა დიდი ხანია დამთავრდა. ასე ვამბობთ ხოლმე — რადგან აღარ ისვრიან, უკვე კარგია. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პრობლემის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შანსი. მაგრამ, სამწუხაროდ, კონფლიქტის ზონაში სიტუაციაზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ „არც მშვიდობაა და არც ომი“. საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობას ნორმალურს ვერ უწოდებ, თუნდაც იმის გამო, რომ ერთმანეთში უშუალო კონტაქტი არა აქვთ არც ლიდერებს, არც საზოგადოებრიობას.

ბორის პასტუხოვი.
5.02.1996 წ.

„არავის რომ არ დარჩეს რამენაირი ეჭვი იმის თაობაზე, თუ ვინ იყო დაინტერესებული ამ ომის გაჩაღებაში, მკითხველებს შევთავაზებთ ნაწყვეტს ჟურნალისტ ვლადლენ ჩერტინოვის კიდევ ერთი სტატიიდან „დასჯილი საქართველო“:

„ედუარდ შევარდნაძე სისტემატურად აკეთებს განცხადებებს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა იმის დრო, რომ ითქვას სრული სიმართლე აფხაზეთის ომის დაწყების შესახებ.

მაშ ასე, რადგანაც საქართველოს ოფიციოზისათვის დღესაც ტაბუდადებულ თემას მხოლოდ ერთი, კერძოდ, აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობა წარმოადგენს, შევეცდებით შევუმსუბუქოთ მდგომარეობა ედუარდ ამბროსის ძეს და გავამხილოთ ის საშინელი საიდუმლოება, რომელიც პირს უკრავს მას. სიმართლე კი იმაშია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანა საქართველოს სთხოვა... რუსეთმა. სთხოვა იმიტომ, რომ უზრუნველეყო სომხეთში ტვირთების შეუფერხებელი გადაგზავნა“.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა“ №1

## ავთანდილ მარგიანს ადანაშაულებენ მაფიოზურ კავშირებში

როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დააყენა საკითხი ყოფილ მინისტრთა კაბინეტში კორუფციის შესახებ, ქალაქში მაშინვე გავრცელდა ჭორი, რომ ავთანდილ მარგიანის დასაპატიმრებლად სანქცია გაცემულია და ყოფილი ვიცე-პრემიერი სასწრაფოდ გაიქცა თბილისიდან მოსკოვს. როგორც ბლოკ „პროგრესის“ პრეს-ცენტრის უფროსმა გია არველაძემ განაცხადა, მარგიანი ამჟამად კოდორის ხეობაში იმყოფება, იქ შექმნილი საგანგებო სიტუაციის გამო. ყოფილი ვიცე-პრემიერი თავს კარგად გრძნობს და მას არავითარი მიზეზი საქართველოდან გაქცევისთვის არ გააჩნია. თუმცა, როგორც ამბობენ, კვამლი უხანძროდ არ ჩნდება... 7 თებერვალს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი გაჩეჩილაძემ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს ყოფილ ვიცე-პრემიერს საჯაროდ დასდო ბრალი მაფიოზურ კავშირებში. გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მარგიანი მფარველობდა ფირმებს „მედიკოსი“ და „საბა“, რათა მათ მიეღოთ საქართველოდან ტყის გასატანი ლიცენზია. გაჩეჩილაძემ განსაკუთრებით იმ ფაქტს გაუსვა ხაზი, რომ როდესაც მინისტრთა კაბინეტს დეპუტატების ჯგუფმა მოსთხოვა, რომ გაეუქმებინათ ტყის რეექსპორტი, ყოფილმა მინისტრთა კაბინეტმა არა მარტო ეს გადაწყვეტილება დასტოვა ძალაში, არამედ ტყის ექსპორტის უფლებაც გასცა.

BGI

## დამოუკიდებელი პრესა დამოკიდებული გახდება

საქართველოს ახალი ბიუჯეტი თავისუფალ პრესას ფინანსურ წრეებზე დამოკიდებულს ხდის — განაცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ საყვარელიძემ. მისი სიტყვებით, თუ ბაჟის შემოღება მოხდება, დამოუკიდებელი პრესა მთლიანად დამოკიდებული გახდება დამატებით ფინანსირებაზე და სულ ერთია, ეს ვინ იქნება — მთავრობა, სქელჯიბიანი ბიზნესმენები თუ მაფიოზები.

## ცენზორები ხელფასს იღებენ, ეხლა საქმესაც იშოვნიან

დამოუკიდებელ საინფორმაციო სააგენტოებს, გაზეთებსა და ტელეკომპანიებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოს პარლამენტში შეიტანონ საპროტესტო განცხადება რესპუბლიკის 1996 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილი გადასახადის 20%-მდე გაზრდის გამო. ჟურნალისტები თვლიან, რომ წინასაარჩევნო კომპანიის დროს მოხსნილი ბაჟის შემოღება საქართველოში სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლაა. სრული სიცხადისათვის ხელმძღვანელობას ისღა დარჩენია, ცენზურა შემოიღოს, რომლის აპარატიც, სხვათა შორის, დღევანდლამდე არ არის დაშლილი და იღებს სახელმწიფოებრივ ხელფასს.

BGI

## თავისუფალი პრესა პროტესტს აცხადებს

საქართველოს თავისუფალი პრესის ასოციაცია საქართველოს პრეზიდენტს გადასცემს პროტესტს, თავისუფალ პრესაზე ოცპროცენტიანი გადასახადის დაწესების გამო, რომელიც გათვალისწინებულია 1996 წლის ბიუჯეტის პროექტში.

**რა მოხდება, თუ პრესას მოუწევს გადაიხადოს გადასახადი?** ამ კითხვით BGI-ს კორესპონდენტმა ლევან გუდაძემ რამდენიმე რედაქციას და საინფორმაციო სააგენტოებს მიმართა. გამოკითხულთა გარკვეულმა ნაწილმა პასუხს თავი აარიდა. შეკითხვას უპასუხეს:

**გაზეთი „საქართველო“** — ეს იმდენად გაართულებს გაზეთების ეკონომიურ მდგომარეობას, რომ შეიძლება ზოგიერთი მათგანი დაიხუროს კიდეც.

**გაზეთი „რეზონანსი“** მავნე კანონპროექტია. ეს ძალიან დიდ დარტყმას მიაყენებს თავისუფალი პრესის დამოუკიდებლობას.

გაზეთი „კავკასიონი“ — ეს გადასახადი დაღუპავს თავისუფალ პრესას.

**გაზეთი „ივერია-ექსპრესი“** — ამან შეიძლება გაზეთების დახურვა არ გამოიწვიოს, მაგრამ ძალიან დიდ დარტყმას მიაყენებს მის ფინანსურ მდგომარეობას.

**გაზეთი „არაგველები“** — ეს შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებას.

**გაზეთი „ივერია“** — ეს კანონპროექტი თავისუფალი პრესის წინააღმდეგაა მიმართული.

BS-PRESS — საინფორმაციო სააგენტო — ამ კანონმა შეიძლება რამდენიმე გაზეთის ლიკვიდაცია მოახდინოს.

BGI

## იტალიაში სამთავრობო კრიზისი დასრულდა

იტალიაში ნახევარ თვეზე მეტხანს გაგრძელებული სამთავრობო კრიზისი სიურპრიზით დამთავრდა.

სახელმწიფოს მეთაურმა ო.ლ.სკალფარომ ქვეყნის ომის შემდგომ ისტორიაში 56-ე მინისტრთა საბჭოს ფორმირება დაავალა ანტონიო მაკანიკოს. ამჟამად ინიციატივა 71 წლის სენატორის ხელშია.

მაკანიკო გამოცდილი პოლიტიკოსია. მან თავისი კარიერა პარლამენტში შექმნა და მხოლოდ მცირე დროით „გადაერთო“ საბანკო საქმიანობასა და რამოდენიმე სამთავრობო კაბინეტის მუშაობაში.

სკალფარო, რომელმაც მოიწვია სენატორი მაკანიკო საპრეზიდენტო სასახლე კვირინალეში ხუთშაბათს, ხელმძღვანელობდა პირველ რიგში ნაციონალური ინტერესებით, რომლებიც მოითხოვენ ცვლილებებს მთავრობის სისტემაში და რესპუბლიკის კონსტიტუციის რეფორმებს. რათა გავიგოთ, რატომ დადგა ხელმძღვანელობის საკითხი ასე მწვავედ აპენინის ნახევარკუნძულზე, საჭიროა გავიხსენოთ, რომ აქამდე იტალიის მთავრობა მთლიანად დამოკიდებული იყო პარლამენტის მხარდაჭერაზე და ბანქოს სახლივით ინგრეოდა, თუ რომელიმე პარტია უნდობლობას გამოუცხადებდა მმართველ კაბინეტს. პრეზიდენტმა მხარი ვერ დაუჭირა კრიზისით შეპყრობილ მინისტრთა გუნდს, რადგან მისი შეზღუდული უფლებები მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციამდე დადის.

ამჯერად იტალიელთა მოთმინების ფიალა, როგორც ეტყობა, საბოლოოდ აივსო. შესძლებს თუ არა მაკანიკო, მიაღწიოს ძლიერ უფლებებს — გაირკვევა დღე დღეზე.

## პიტერში ნაციონალისტს ასამართლებენ

სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლოში დაიწყო რუსეთის ნაციონალური რესპუბლიკური პარტიის ლიდერის, იური ბელიაევის საქმის მოსმენა, რომელსაც ადანაშაულებენ მოქალაქეთა უფლებების დარღვევაში (სტ. 74).

ბრალდების მიზეზად შეიქმნა ის ანტიკავკასიური და ანტისემიტური გამონათქვამები, რომლებსაც ბელიაევი ხმარობდა თავის გამოსვლებში და გაზეთ „ნაციონალისტის“ პუბლიკაციებში. საექსპერტო კომისიამ დაამტკიცა ბრალდების სამართლიანობა და დაამატა, რომ ბელიაევის მთელი პარტია საზოგადოებრივი საფრთხის წყაროს წარმოადგენს.

# დიფტერია — ჭორი და სინამდვილე

BGI-ს კორესპონდენტი ვიქტორია ქავჭარაძე ესაუბრა რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილეს ლევან მაიღოშვილს.

— **თბილისში ხმები გავრცელდა, თითქოს დიფტერიის საწინააღმდეგო აცრა კიბოს აჩენს. მართალია?**

— სისულელეა. ჟველა რაიონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმები გაფრთხილებულნი არიან, რომ თუ აცრას რაიმე სერიოზული გართულება მოჰყვა, სასწრაფოდ შეატყობინონ ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს. სერიოზულ გართულებად ითვლება, მაგალითად, შოკი. ჯერჯერობით მსგავსი შემთხვევები არ გვქონია.

— **აცრის შემდეგ სიცხის აწევა რაიმე საშიშროებასთან ხომ არ არის დაკავშირებული?**

— არა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. პრეპარატი ბიოლოგიურად აქტიურია. 37-38 ტემპერატურა შეიძლება რამდენიმე დღე გქონდეთ, სიცხე თავისით დაიწევს. ისე, ქალაქში უამრავი ჭორი დადის ვაქცინაციის შემდგომ ლეტალურ შედეგებზე. ეს აბსურდია. ამას წინათ ერთი კახელი წინააღმდეგი იყო — არ ავიცრი, ასე ამბობენ აცრა იმპოტენციას იწვევსო.

— **ხალხი შიშობს, რომ ვაქცინა კანცეროგენულია...**

— მორიგი ჭორია. მითხარით თუ ღმერთი გწამთ, რატომ დაამზადებენ „კანცეროგენულ ვაქცინას“, ან ვისთვის. ჩვენთან ვაქცინები შემოსულია საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან, ავსტრალიიდან და ინდოეთიდან. აცრა არ შეიძლება მაღალი ტემპერატურის დროს. ეს ბანაობა კი აცრის შემდეგ შეგიძლიათ.

— **დაფიქსირებულია დიფტერიით სიკვდილის შემთხვევები?**

— დაფიქსირებულია. 1995 წელს საქართველოში დიფტერიით 44 კაცი მოკვდა. ხოლო იქ, სადაც ვაქცინაცია ჩაატარეს, სიკვდილიანობა ორჯერ ნაკლებია, მაგალითად აჭარაში.

— **როგორ ხდება ვაქცინაცია?**

— აცრები რაიონულ პოლიკლინიკაში ტარდება. მათ, ვისაც ბავშვობაში ჩატარებული აქვთ დიფტერიის საწინააღმდეგო აცრა, მხოლოდ ერთი ვაქცინაცია უნდა ჩაუტარონ. ხოლო ვისაც საერთოდ არ აუცრავს, მან სამჯერ უნდა აიცრას, გარკვეული პერიოდულობის დაცვით.

— **რითი განსხვავდება დიფტერია სხვა ავადმყოფობისაგან, მაგალითად ანგინისაგან?**

— დიფტერიის დროს ყელი იფარება ნაცრისფერი ნალექით, რომელიც არ გადის. ზოგჯერ დიფტერია მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს, უსიცხოდ, მაგრამ ამ დროს ავადმყოფი მეტად საშიშია — იგი ვირუსმატარებელია.

— **რა ღირს დიფტერიის მკურნალობა?**

— იგი აბსოლუტურად უფასოა, სახელმწიფო ამ ავადმყოფობის მკურნალობის ხარჯებს თავის თავზე იღებს.

## ლტოლვილი მაიმუნები კოსმოსში გაფრინდებიან, მიწაზე დარჩენილებს კი ღორის ფილტვებს გადაუნერგავენ

რა თქმა უნდა, ყველას გვახსოვს სოხუმის განთქმული მაიმუნების სამხეცე. სამწუხაროდ, დღეს ის დაცარიელებული და არეულია. ომმა მაიმუნებიც ლტოლვილებად აქცია. დიდი ძალისხმევა დასჭირდა უნიკალური სამედიცინო პრიმატოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ ბორის ლაპინს, რათა ახალი საცხოვრებელი ადგილის საძებნელად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან გამოეყვანა თავისი ქვეშევრდომები. ლტოლვილმა მაიმუნებმა სოფელ ვესელოეში, სოჭის მახლობლად, იპოვეს თავშესაფარი.

— ჩვენ ნელ-ნელა მოვდივართ აზრზე — ამბობს აკადემიკოსი ლაპინი, — ყოფითი პრობლემების გადაჭრის შემდგომ დაიწყო სამეცნიერო გამოკვლევები, გაიხსნა რამდენიმე ახალი თემა. გრძელდება კიბოსთან ბრძოლის პრობლემებზე მუშაობა; აგრეთვე, ტრადიციულად გრძელდება გამოკვლევები კოსმოსური მედიცინის სფეროში... ამჟამად სოჭში „წინაგასაფრენ მზადებას“ გადის რამდენიმე მაიმუნი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროგრამაში „ბიონ-11“. აქ, რუსი სპეციალისტების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები საფრანგეთიდან და აშშ-დან.

მარტის ბოლოს კი აქ დაიბადება სენსაცია. გერმანელი ქირურგ-ტრანსპლანტაციოლოგი პროფესორი ა.ჰევირიხი მაიმუნს გადაუნერგავს ღორის ფილტვებს. ასეთი ოპერაცია მსოფლიოში არავის გაუკეთებია.

# რატომ ვერ იტანდა პატიაშვილი შევარდნაძეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს ის კომპანია არ არის



მოკლეს ჩემი მეგობარი სოლიკო ხაბეიშვილი. სიკვდილი დაბიჯებს ჩემს ირგვლივ, რაც დრო გადის უფრო და უფრო ახლოს. ვლადი, სოლიკო ხაბეიშვილი, ახლა ხანს ოლეგ კანტორი და ეს ყველაფერი რაღაც სამ თვეში მოხდა.

მე ორი მილიონი ახლობელი, მაგრამ არც თუ ისე ბევრი მეგობარი მყავს. სოლიკო ჩემი მეგობარი იყო.

არასოდეს არ დამავიწყდება: მე და ნატაშა ის — ის იყო დავქორწინდით. სახლში ცარიელი კედლები და ერთი დივანი იყო. კიდევ ფილიპი დააბიჯებდა კუთხიდან კუთხემდე — სოლიკომ კი უამრავი სტუმრები მოგვაყენა კარზე: მაყვალა ქასრაშვილი, მხატვარი თენგიზი, მეტსახელად „ჩუბჩიკა". მისი მეგობარი, კიდევ ვილაცა, კიდევ ვილაც... მაგიდა და სკამები არა გვაქვს, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სამი ...თეფში, და არც ერთი სირჩა... ღმერთო ჩემო, რა მხიარულად ვიყავით!

სოლიკო: კომუნისტი, საქართველოს ცკ-ს მდივანი, პატიმარი (მისჯილი 6 წლიდან 2 ციხის კარცერში გაატარა), გამსახურდიას დროს უმუშევარი, შევარდნაძის დროს გიგანტური ფონდის პრეზიდენტი.

როდესაც სოლიკო მოჰკლეს, შევარდნაძემ ისრაელში თავისი ვიზიტი შეწყვიტა და თბილისში ჩამოვიდა.

— მე მიმიზნებდნენ, — თქვა შემდეგ.

[illegible]ავლეთში წარმოუდგენელი რაოდენობის წიგნები იყო[illegible], რომლებიც „კრემლის შეთქმულებებითაა" გატენილი. თურთე ყველა — დაწყებული ლენინიდან და დამთავრებული ცვიგუნით — ან მოწამლეს, ან დახვრიტეს, ან ავადმყოფთან ექიმს არ უშვებდნენ (როგორც კრუპსკაიას მოექცნენ).

ბოლო „ფაქტები" ასეთია — უსტინოვი დახვრიტეს, ჩერნენკო თევზით მოწამლეს, ხოლო ანდროპოვი ზედმეტი მკურნალობით მოიშორეს თავიდან.

ერთი შეთქმულება კი კრემლში მართლაც იყო („ГКЧП"-ს თუ არ ჩავთვლით — ისიც თუ შეთქმულება იყო... ა.კ.). ეს შეთქმულება რეალური იყო, რომლის შესახებაც ლიტერატურულმა ხელოსნებმა, რომლებმაც მთელი ქონება დააგროვეს ანდროპოვის და ბრეჟნევის წიგნების წყალობით, ერთი სიტყვაც არ დაწერეს.

1990 წლის დეკემბერში გეიდარ ალიევი ნახიჩევანში, თავისი გარდაცვლილი დის პატარა ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. მეც მასთან ერთად ვიყავი. საღამოებს საუბარში ვატარებდით. ვუყვებოდი ყველაფერს, რაც მას აინტერესებდა. ველაპარაკებოდი მოსკოვზე, ხალხზე, ჩურბანოვზე, ციხის ბანაკებზე და სხვაზე და სხვაზე.

— გამსახურდიამ ამინისტია გამოაცხადა და ხაბეიშვილი ციხიდან გამოვიდა — ვუთხარი ერთ საღამოს.

ალიევს სახეზე ჩრდილმა გადაუარა. მე უკვე მივეჩვიე საუბრის მისეულ მანერას. იგი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, ყველა სიტყვას თითქოს წონიდა, სამაგიეროდ დიდი ყურადღებით გისმენდა. გისმენდა და ყველაფერს იმახსოვრებდა.

ალიევს იშვიათი, ფანტასტიური, არაადამიანური მეხსიერება აქვს. მე სრულიად სერიოზულად ვამბობ — ალიევს ახსოვს თავისი ცხოვრების ყოველი დღე, უმნიშვნელო წვრილმანებიც კი.

დილით, როდესაც ჩვენ რომელიღაც კოლმეურნეობაში მივდიოდით მიტინგზე, ალიევი მომიტრიალდა და მითხრა:

— გუშინ საუბარში შენ ერთი კაცი ახსენე... ანდრეი, ეს კაცი მოსკოვში... შევარდნაძისთვის ყველაფერს აკეთებდა, მხოლოდ ის... შენ როგორც ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იცოდე.

ალიევი გაჩუმდა. მე ვერ მივუხვდი სათქმელს და ალიევს შევხედე.

— მე შენ პატივს გცემ, — მივხვდი, რომ გეიდარ ალიევიჩს უფრო მეტის თქმა უნდოდა, ვიდრე ამბობდა, — შენ ჩურბანოვს წიგნს უწერ (იმ პერიოდში ჩურბანოვი ნიჟნი ტაგილთან გაძლიერებული რეჟიმის №13 კოლონიაში სასჯელს იხდიდა. ჩვენ ერთად ვმუშაობდით მის წიგნზე — მემუარებზე, რომელიც 1992 წელს დაბეჭდა „ნეზავისიმაია გაზეტას" გამომცემლობამ. მე დაახლოებით ექვსჯერ მაინც ჩავაკითხე ჩურბანოვს კოლონიაში).

— შენ გუშინ ახსენე... არ გინდა... არ შეიძლება... ეს ის კომპანია არ არის, გიმტყუნებენ... მე ვიცი რასაც ვამბობ!

მორჩა. ეს იყო და ეს. ალიევს მეტი სიტყვაც აღარ უთქვამს. მე უცებ ვერც მივხვდი, თუ რაზე იყო საუბარი.

როდესაც გორბაჩოვმა შევარდნაძე მოსკოვში ჩამოიყვანა, პოლიტბიურო დაიძაბა. ჯერ ერთი, გორბაჩოვს რჩევა არავისთვის არ უკითხავს. მეორეც, შევარდნაძეს ვერ იტანდა ჩებრიკოვი. და არა მარტო ის.

ვინ გახდებოდა თბილისში „პირველი"? შევარდნაძემ გორბაჩოვს თენგიზ მენთეშაშვილი, მაშინდელი სსრკ უზენაესი საბჭოს მდივანი და სოლიკო ხაბეიშვილი, ცკ-ს მდივანი დაუსახელა.

— ჯუმბერი? — იკითხა გორბაჩოვმა (ჯუმბერ პატიაშვილი სოფლის მეურნეობას კურირებდა და გორბაჩოვი მას იცნობდა).

— დიახ, რა თქმა უნდა — აჩქარებით მიუგო შევარდნაძემ — ისიც შესძლებს...

ასეც გადაწყვიტეს.

პირველი, რაც ჯუმბერ პატიაშვილმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ სოლიკო ხაბეიშვილი სამსახურიდან გააგდო. ხოლო ერთი კვირის შემდეგ, როდესაც სოლიკომ მოსკოვს მიაშურა, მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. ჩებრიკოვმა მაშინვე მოახსენა გორბაჩოვს: ხაბეიშვილს ნახევარი მილიონი მანეთის ოდენობით ქრთამის აღება ედება ბრალად და საქმე ისე მიდის, რომ იგი საცაა შევარდნაძის წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას.

მე არ ვიცი, როგორ მოიქცა გორბაჩოვი, მაგრამ შევარდნაძე გაყუჩდა. გიული, სოლიკოს მეუღლე, ამაოდ ევედრებოდა შევარდნაძეს მიღებას. თავისი თანაშემწის, თეიმურაზ სტეპანოვის პირით შევარდნაძემ შეუთვალა, რომ ეს ზედმეტი იყო.

სოლიკო კარცერში მოათავსეს, სადაც წვიმიან დღეებში წყალი მუხლებამდე დგებოდა, ხოლო მშრალ დღეებში უზარმაზარი ვირთხები დარბოდნენ.

მაღალი, ლამაზი, მთებზე შეყვარებული სოლიკო ხაბეიშვილი ყველაზე ძლიერი გამოდგა. საქართველოს გენერალური პროკურორი და საქართველოს სუკ-ის შეფი ალექსი ინაური სიბრაზისაგან ალბათ სულ ცოფებს ჰყრიდნენ, როდესაც სოლიკოს ჩვენებებს კითხულობდნენ. ქრთამები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ, ხოლო ბრალდებული შევარდნაძეზე სიტყვასაც არ სძრავდა.

პატიაშვილი კი მოითხოვდა. ანგარიშს მოსკოვს აბარებდა, მოსკოვში კი შევარდნაძის სისხლი ბევრს სწყუროდა. ჩებრიკოვი ყველაფერზე წამსვლელი იყო. სხვებზე ადრე ამას ლუკიანოვი მიხვდა, რომელიც ცკ-ში ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა.

— ედუარდ ამბროსევიჩ, საჭიროა ხაბეიშვილზე მოვილაპარაკოთ... დროა.

— შვებულების შემდეგ, ანატოლი ივანოვიჩ... მე თვითონ დაგირეკავთ.

შევარდნაძე რაღაცას ელოდებოდა. ჯერ ერთი — მართალია, თვითონ ყურადღებით ადევნებდა თვალს სოლიკოს საქმის ძიებას, მაგრამ იცოდა, რომ ინაურს და რაზმაძეს ყველაფერი შეეძლოთ გაეკეთებინათ. მეორე ის იყო, რომ „ვერცხლისფერი მელა" შეშინდა. სოლიკო მისი მეგობარი იყო, დიდი ხნის მეგობარი, მეგობრობდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან მოყოლებული. მეგობრობდნენ ოჯახებით. მთელი ცხოვრება ერთად იყვნენ, გვერდი-გვერდ. მაგრამ შიშის გრძნობა ყველა სხვა ადამიანურ გრძნობაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

საინტერესოა მაინც, ჯუმბერ პატიაშვილი, ისიც ცკ-ს მდივანი, ისიც შევარდნაძის კოლეგა, რატომ ვერ იტანდა შევარდნაძეს?

მე ვკითხე ამის შესახებ შევარდნაძეს, მაგრამ მან არ ისურვა ამ თემაზე საუბარი.

რაღაც მომენტში სოლიკო მიხვდა, რომ ის ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. მაშინ ყველაფერი უკვალოდ გაქრებოდა. „შენთვის გამიზნული ტყვია უკვე ჩამოსხმულია" — გააფრთხილა სოლიკო პოლკოვნიკმა ჯაფარიძემ, ერთ-ერთმა გამომძიებელმა. ეტყობა პატიაშვილი რაღაც გარანტიებს იძლეოდა.

გამოიყენეს ფსიქოტრონული პრეპარატები. „სოლიკოს რაღაც მოუვიდა, — ამბობდა შემდეგ ევგენი ვოლფი, სოლიკოს ადვოკატი — მან მოულოდნელად ისეთი რამეების მოყოლა დაიწყო, რასაც კაცი კოშმარული ბოდვის დროსაც კი არ იტყვის".

ვოლფმა შევარდნაძემდე შეაღწია, „საზოგადოებრიობის სახელით" დაწერილი ბარათით.

პატიაშვილი რისკზე მიდიოდა. ის ფაქტი, რომ შევარდნაძის უახლოესი პირი ქრთამის აღებაზეა დაკავებული და ეს შევარდნაძის მოსკოვში [illegible]სვლისთანავე მოხდა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დადებითად არ ახასიათებდა. მაგრამ პატიაშვილის უკან ჩებრიკოვი იდგა. პარალელურად გდლიანი „უზბეკეთის საქმეს" უკირკიტებდა, რომელიც უსმანხოჯაევის დაპატიმრებით დამთავრდა. მოულოდნელად გორბაჩოვმა ჩებრიკოვი სუკ-იდან გააგდო, მერე ალიევი მოხსნა და ხაბეიშვილიც აღარ დახვრიტეს. სოლიკოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მოვლენათა ამ ჯაჭვში გარკვეული კავშირი არსებობდა.

სოლიკო პრიმაკოვმა დაიცვა. ისინი ერთად გაიზარდნენ. ეს ერთი კომპანია იყო — პრიმაკოვი, ხაბეიშვილი, აკადემიკოსი ბურაკოვსკი, ლევ ონიკოვი სკკპ ცკ-ს აპარატიდან.

სოლიკოს სასამართლო თავიდან ბოლომდე აჩვენა საქართველოს ტელევიზიამ. პატიაშვილი ვა-ბანკზე მიდიოდა. სწორედ ეს იყო შეცდომა. ალიკა მეტრეველის, ცნობილი ჩოგბურთელის, ცკ-ს ყოფილი თანამშრომლების — მაისურაძის და წოწორიას გამოსვლების შემდეგ, რომელთაც ყველას თვალწინ სოლიკოს უკანასკნელი ქრთამები „აართვეს". დახვრეტაზე ლაპარაკიც აღარ იყო.

რახან დახვრეტა არ გამოუვიდათ, გადაწყვიტეს ხაბეიშვილი ციხეში ჩაელპოთ. სასამართლომ სოლიკოს 5 წელი მიუსაჯა ერთკაციან საკანში, ხოლო თუ ამის შემდეგ მაინც ცოცხალი გადარჩებოდა, 7 წელი გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში უნდა გაეტარებინა.

შევარდნაძე დუმდა. გაზეთები წერდნენ, რომ „საქართველოს საზოგადოება განაჩენს დადებითად შეხვდა".

გიულიმ სოლიკოს ციხეში პურში ჩადებული ჩემი კითხვები გადასცა. სოლიკომ მიპასუხა.

დიალოგების პირველი ტომი „კრემლის ირგვლივ" უკვე აწყობილი იყო. მოვასწარი და სოლიკოსთან საუბარი დავამატე.

ამას რაც მოჰყვა, არასოდეს არ დამავიწყდება. პერედელკინოში ვიყავი, შატროვის აგარაკზე. იქ ვმუშაობდი. საღამო იყო, დაახლოებით ცხრა-ათი საათი. წვიმდა, დარეკა ტელეფონმა.

— ანდრეი ვიქტოროვიჩ? საღამო მშვიდობისა — გაისმა მშვიდი, წყნარი ხმა — ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. მე თეიმურაზ სტეპანოვიჩი ვარ.

ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ რომელმა ჟურნალისტმა არ იცის, ვინ არის თემო სტეპანოვი (იგივე მამალაძე, შევარდნაძის თანაშემწე, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მისი უფრო ეშინოდათ, ვიდრე შეფის).

— ჩვენ წავიკითხეთ... ჩვენი მეგობრის ინტერვიუ, ჩვენ... — აქცენტი და პაუზა — თხოვნა გვაქვს, მეექვსე გვერდზე, მეორე აბზაცში, სადაც ქრთამებზეა ლაპარაკი, ჩვენი მეგობარი ამბობს — მე სასწრაფოდ ვტაცე ხელი ტექსტს — „ამ წარმოუდგენელი ტყუილისაგან თვალზე ცრემლიც კი მომადგა. არც შევარდნაძე იყო კარგ მდგომარეობაში. მან თქვა, რომ ეჭვი არ ეპარება ჩემს პატიოსნებაში". ანდრე ვიქტოროვიჩ, შეგიძლიათ აქ კიდევ ერთი ფრაზა ჩაუმატოთ? ჩაიწერეთ, მე გიკარნახებთ: „ვიმედოვნებ, ედუარდ ამბროსევიჩი ამას დაადასტურებს". ჩაიწერეთ? დიდი მადლობა. სულ ეს იყო. სხვა შენიშვნები არა გვაქვს.

ფანჯრებს მიღმა წვიმა თავსხმად იქცა. მხოლოდ ეხლა მივხვდი, თუ რაც ხდება. ყოვლისშემძლე საგარეო საქმეთა მინისტრი აკონტროლებს თავისი სიყრმის მეგობრის ინტერვიუს, რომელიც ციხეში ზის და იმ შემთხვევაში, თუ გამსახურდია (ხელისუფლების სათავეში მოსვლისას იგი მოსახლეობას ამინისტიას შეჰპირდა) ციხიდან გამოუშვებს სოლიკოს, ჩქარობს დაარწმუნოს, რომ შევარდნაძე არასოდეს არ დაეჭვებულა მეგობრის კეთილსინდისიერებაში.

ნახევარი წლის შემდეგ, როდესაც შევარდნაძისაგან ინტერვიუს ვიღებდი, ხაბეიშვილზეც ვკითხე.

დასასრული მეოთხე გვერდზე

# რატომ ვერ იტანდა პატიაშვილი შევარდნაძეს?

— არავითარი ნაბიჯი, ხაბეიშვილი რომ არ დაეხვრიტათ, მე არ გადამიდგამს — მშვიდად მითხრა ედუარდ ამბროსევიჩმა — რა უფლება მქონდა? დიდი დრამა იყო. ძალიან დიდი. მე განვიცდიდი, პოლიტბიუროს წევრი ვიყავი, ხომ იცით... ხანდახან ერთი ზარიც საკმარისია — მაგრამ მე არავისთვის არ მიმიმართავს.

ა.კ. რატომ?

ე.შ. აბა ვისთვის დამერეკა და რა მეთხოვა? მეთქვა, რომ სოლიკო პატიოსანია, კეთილსინდისიერი, სამართლიანი?

ა.კ. ედუარდ ამბროსევიჩ, მე კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ეს რომ ვთქვათ თქვენი ძმა ყოფილიყო ან თქვენი მამა. ნუთუ თქვენ, რომელმაც იცით, რომ ის არაფერში დამნაშავე არ არის, მაინც ყველაფერს როგორც იყო ისე დატოვებდით?

ე.შ. — დიახ.

ღმერთმანი, მე არასოდეს არავისთვის არ მიკითხავს ფულის შესახებ. მაგრამ...

ნეტავ შევარდნაძე თუა მდიდარი? გამიელვა კითხვამ.

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა ციხიდან გამოსულმა „ГКЧП"-ს ერთ-ერთმა მონაწილემ. მან მაგალითად გერმანია დაასახელა. მაშინ პირველად დაემთხვა ერთმანეთს „КГВ"-ს და „ГРУ"-ს მონაცემები რომელთაც ერთმანეთი აგრერიგად არ უყვარდათ.

და შევარდნაძის შვილების ბინა პარიზში, რომელიც კაპიკებადაა შეძენილი?

იხდიან და იხდიდნენ სხვადასხვანაირად.

— როგორ მოხდა ედუარდ ამბროსევიჩ, ვკითხე მე შევარდნაძეს, რომ ამერიკას, რომელიც არც თუ ისე ღარიბი ქვეყანაა (არა?), 12 წლის განმავლობაში გამოჰყავდა თავისი ორი ბრიგადა ფილიპინებიდან. ხოლო ჩვენ ნახევარმილიონიანი დაჯგუფება, სამი არმია გვყავდა.

გერმანიიდან მათ გამოყვანას 15 წელი დასჭირდებოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის მთელი სარკინიგზო ტრანსპორტი ჩვენი ნაწილების გამოყვანაზე იმუშავებდა. ჩვენ კი ხელის ერთი მოსმით 30000-მდე თავი სმოლენსკთან შეუკარით, იმ სიცივეში. არავითარი პირობები, თოვლში დადგმული კარვები და — „Здравствуй зимушка — зима."

— რისთვის გაიმეტეთ ასე ეს ბიჭები ედუარდ ამბროსევიჩ?

შევარდნაძე მშვიდად საუბრობს.

— მახსოვს მე და განსვენებული ახრომეევი დილამდე ვანგარიშობდით. ახრომეევს გარდა სხვა სამხედროებიც იყვნენ. დიახ, მშვიდად ვეპყრობა, როგორც ... იტყვიან. მაგრამ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს ვადები რეალური იყო... ეს იმათი შეცდომაა, ვინც ანგარიშობდა.

შეცდომა? და არა პოლიტიკა?

კი მაგრამ ნობელის პრემია, რომელზეც ასე ოცნებობდა გორბაჩოვი? კი მაგრამ „წლის საუკეთესო გერმანელის" წოდება, რომელიც ასე კმაყოფილებით მიიღო?

გორბაჩოვის და კოლის ფინალური შეხვედრა საქართველოში, არხიზში, აგარაკზე შედგა. 1990 წელი იყო. გაზაფხული. კოლი ჩამოვიდა, რათა გორბაჩოვისთვის „გამოსასყიდად" 100 მილიარდი მარკა შეეთავაზებინა. გორბაჩოვმა კოლს ხმის ამოღებაც არ აცალა, ისე მოითხოვა... თოთხმეტი მილიარდი. კოლი გაოცდა, მაგრამ არ შეიმჩნია და გაჩუმდა. დილას, საუზმის დროს გორბაჩოვმა და კოლმა ხელი ხელს დაკრეს და აღსანიშნავად ერთი ბოთლი ქართული კონიაკიც დალიეს, რომელსაც ასე უქებდა შევარდნაძე.

კოლი ისეთი დამთმობი გახდა, რომ დათანხმდა თვითმფრინავში აეყვანა ბერლინში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. შემდეგ ლიონია ვახტინი, კოზირევის მრჩეველი ყვებოდა: როცა ჩვენი ბიჭები სალონში შევიდნენ, იქ ნამდვილი ვაკხანალია სუფევდა. გერმანელები ტიროდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, დასცინოდნენ რუსებს, სთავაზობდნენ დალევას...

ნახევარი წლის შემდეგ გორბაჩოვი კოლს 6 მილიარდი მარკის კრედიტს სთხოვს, რომლის დაბრუნება როდესმე საჭირო გახდება.

მთლიანად კი ჩვენი საკუთრება გერმანიაში (სადაც მხოლოდ აეროდრომია ცამეტი) დაახლოებით ორას მილიარდ მარკადაა შეფასებული.

ეს ყველაფერი მივატოვეთ. რატომ?

ითვლებოდა: რახან მივდივართ, ესე იგი ვტოვებთ კიდეც.

ესეც თქვენი ახლებური აზროვნება.

გამოირკვა, რომ გერმანელებს კანონი აქვთ „ახალ მესაკუთრეებზე". მასში, ნათქვამია: თუ საკუთრება, რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფება, შეძენილია კეთილსინდისიერი გზით, იგი ეკუთვნის მის მეპატრონეს, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. და სულ ერთია, ვისია — საკუთარი, გერმანული, თუ სხვისი, მაგალითად რუსული.

რას ნიშნავს „შეძენილია კეთილსინდისიერი გზით?" კანონი განმარტავს — „საკუთრება, რომელიც ადრე ეკუთვნოდა CC, CD და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ნიურნბერგის პროცესის მიხედვით დამნაშავე ორგანიზაციებად იქნა მიჩნეული, ითვლება კეთილსინდისიერ შენაძენად.

გენერალ ბელიკოვის, ჩვენი ნაწილების მთავარი მეთაურის ბანაკში ეს კანონი არც კი იყო თარგმნილი გერმანულიდან რუსულად. გეგონებათ, ჩვენი გენერლები გერმანულ წერა-კითხვას აბულბულებენ.

დღეს ვერავინ ვეღარ გაიგებს, თუ რატომ მოიკლა გენერალმა ბელიკოვმა თავი.

ერთ-ერთ მიღებაზე ბელიკოვს კოლი შეუჩნდა:

— გენერალო, ნუთუ არ შეიძლება პოტსდამიდან მეორე საავიაციო პოლკის გაყვანა დააჩქაროთ? ან გენერლის დივიზიის...

ბელიკოვმა ვერ მოითმინა.

— კანცლერო, მე... ომი გავიარე. 45 წელში რატომღაც არავინ არ მეკითხებოდა, როდის შევდიოდი ბერლინში.

ეს ეპიზოდი მე ერთხელ კოზირევს მოვუყევი.

— დიახ, მართალია — თქვა მან — მაგრამ წამოსვლა მაინც საჭიროა.

საჭიროა. ჰოდა ჩვენც წამოვედით.

**ანდრეი კარაულოვი**

„სოვერშენნო სეკრეტნო"

ინტერვიუ

# მაინც რამდენი ადამიანი დაიღუპა აფხაზეთის ომში?

ამ კითხვაზე პასუხი დღემდე მოსახლეობას არ აქვს, ოფიციალური წყაროები ადრე სხვა ციფრებს ასახელებდნენ, შემდეგ ეს ციფრი მნიშვნელოვნად შემცირდა... თბილისში ცხოვრობს კაცი, რომელმაც შვილი აფხაზეთში დაკარგა, მას შემდეგ რკინის ქალამანი ჩაიცვა, დაკარგული მეომრის ასავალ-დასავალს ეძებს. შემოიკრიბა მის დღეში ჩავარდნილი ახლობლებიც და რაკი არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა არანაირ ცნობას არ იძლევა (არ იციან) მათი შვილების ბედის შესახებ, თავად ცდილობენ გაარკვიონ, რა ბედი ეწიათ შვილებს, ცოცხლები არიან თუ მკვდრები. ჩვენ გავესაუბრეთ აღნიშნულ პიროვნებას, რომელმაც გვარი და სახელის გამოქვეყნებაზე უარი სთქვა, ვინაიდან მას კიდევ მრავალგზის მოუწევს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლა შვილის მოსაძებნად.

**— თქვენ რაიმე მონაცემები გაქვთ, რომ ტყვეობაში მყოფი ჩვენი მეომრები ცოცხლები არიან?**

— დიახ, არსებობს ასეთი მონაცემები, მაგრამ სანამ არ შევამოწმებ, ვერაფერს გეტყვით.

**— რამდენი ძებნილი გვყავს დღეს ჩვენ?**

— მე მაქვს ყველანაირი ინფორმაცია ამ მხრივ, სხვათა შორის, ამ ინფორმაციას, არც თავდაცვის სამინისტრო და არც ვინმე სხვა არ ფლობს, თუ რამდენი იბრძოდა, რამდენი დაიღუპა, რამდენი პოლიციის თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას ამ ომში, რამდენი მოხალისე იყო, აქედან რამდენი დაიკარგა და ა.შ.

**— თუ სახელმწიფოს არ აქვს ეს ციფრები დაფიქსირებული, თქვენ რანაირად გაგაჩნიათ?**

— სახელმწიფო არ ვიცი, რამდენად დაინტერესდა, მაგრამ ჩვენ დავინტერესდით. მე და ბატონმა ავთო იოსელიანმა გულთან ახლოს მივიტანეთ ეს პრობლემა და რაიონების მიხედვით გავგზავნეთ ფურცლები, რათა შეგვეგროვებინა ცნობები. პირადად მე დავიარე ყველა რაიონი სათითაოდ, ავიღე ინფორმაცია ცალკე პოლიციიდან, ცალკე კომისარიატიდან. ახლა ყველა მონაცემი მე მაქვს და არავის სხვას. მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ამ მონაცემების გამოქვეყნებისგან, სანამ ყველაფერს არ დავაზუსტებთ.

**— ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ დაღუპულების რაოდენობა თქვენთვის ცნობილია?**

— დაღუპულთა რაოდენობა იმდენადაა ცნობილი, რამდენადაც საფლავები ვიცით მათი, მაგრამ რომელთა საფლავებიც არ ვიცით, მათ ვთვლით დაკარგულად.

**— დაღუპულთა რაოდენობა საიდუმლოა? ადრე ამბობდნენ, რომ ეს ციფრი 30000-ს აღწევსო. თქვენ მხოლოდ იმ დაღუპულებს ეძებთ, რომლებიც მეომრები იყვნენ, თუ ყველას?**

— დაღუპულებში თუ დაკარგულებში შედის ყველა.

**— გამოცხადდა, რომ 30 ათასი მეომარია დაღუპული, შემდეგ ეს ციფრი გადაიხინჯა და ბევრად ნაკლები გამოცხადდა. თქვენ რას იტყოდით?**

— არა მგონია, რომ სახელმწიფოს ამის შესახებ სწორი ინფორმაცია ჰქონდეს. პარლამენტის სხდომაზე ბევრი გადაუმოწმებელი ინფორმაცია გამოცხადდა. დაღუპულებში და დაკარგულებში ითვლებიან ისინიც, რომლებიც ვერ ამჟღავნებენ თავიანთ თავს. თუ არ იცი, რამდენი კაცი იღებდა მონაწილეობას ომში. როგორ გაიგებ, რამდენი დაიღუპა?



**რომ აღარ დაბრუნდა კაცი და ოჯახი მგლოვიარედაა, აი, ეს ოჯახები დაითვლება და ასე გაირკვევა ყველაფერი.**

— ვინ დათვალა მერე, ვინ არის ამის გამკეთებელი? ვინ მიაქცია ყურადღება ცოცხალს ან მკვდარს? ასეთი რამ დღის წესრიგშიც არ მდგარა, რომ ვინმე ვინმესთან მისულიყოს და რაიმე გაეგოს. ამიტომ ვამბობ, რომ კაცმა არ იცის, ვინ რას აკეთებს და არც არავის აინტერესებს.

**— ე.ი. ამ საქმეს თქვენ უდგახართ კვალში?**

— დიახ. სხვათა შორის, იმ სიებსაც ვაზუსტებ, რომლებიც მეომრებად არიან აღრიცხულნი და სინამდვილეში ყაჩაღობდნენ.

**— რატომ არის საიდუმლო, თუ რამდენი კაცია დაღუპული?**

— არ იციან და იმიტომ. დღეს 35 ათას კაცამდეა დაღუპულთა რიცხვი.

**— ეს ძალიან გადაჭარბებული ხომ არ არის?**

— არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არ არის გადაჭარბებული.

**— სახელმწიფო თუ გეხმარებათ?**

— აბსოლუტურად არაფერს. წარმოიდგინეთ, ბენზინი ვთხოვე და ამაზეც უარი მითხრეს.

**— თქვენ მარტო არ იქნებით, ჯგუფი ხართ ალბათ...**

— მე ვიცნობ ყველა რაიონის რწმუნებულებს, გამგებლებს და ისინი ძალიან მეხმარებიან. მე ეს მონაცემები სოფელ-სოფელ მაქვს დათვლილი და მაინც ვერ შევაგროვე ზუსტი ცნობები, რადგან ზოგიერთ რაიონში, დავუშვათ, გამოვიძახე მოხალისე. ის არ ცხადდება, რადგან ჰგონია, რომ მას იარაღის გულისთვის იბარებენ.

**— თქვენ თვითონაც, რამდენადაც ვიცი, ძებნილის მამა ბრძანდებით...**

— მე თბილისელი კაცი ვარ და მოხალისედ წავედი ჩემს ორ შვილთან ერთად ომში. ვიბრძოდი სოხუმში, ბოლოს ოჩამჩირეში.

**— ერთი ვაჟი დაჭრილი ჩამოიყვანეს, არა?**

— დიახ, ერთი შვილი დაჭრილი ჩამოვიყვანე, მეორე — ტანკის მეთაურია, მას სახელი გამოცვლილი ჰქონდა (გუდერიანი), მის საძებნელად ვიყავი დაღესტანში, ჩეჩნეთში, სადაც გაქცეული ზვიადისტებიც ვნახე, დავამყარე ურთიერთობა ჩეჩენ მეომრებთან.

**— ჩეჩნებს თუ ჰქონდათ სინანულის გრძნობა ქართველების მიმართ?**

— ხუდიკოვი არის კაზაკების გენერალი, „ხუდოი"-ს ეძახიან იმიტომ, რომ დიდი თავი აქვს. მან მითხრა, გადამიხადე თანხა და ხუთ დღეში აფხაზეთს ჩაგაბარებო...

**— თავის დროზე ზურაბ სამუშია, რომელიც სუკ-მა დააპატიმრა, და გიორგაძე კი უარს ამბობდა, არ მყავს დაპატიმრებულიო, პატიმრობის შ... თქვენთან იმყოფებოდა?**

— დიახ.

**— რა ინტერესი ჰქონდა გიორგაძეს, რომ ტყუილს ამბობდა?**

— ე.წ. „სტავკა" არ ჰქონდა გაკეთებული.

**— რას ნიშნავს ეს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც დაიჭერდნენ კიტოვანს, მერე სამუშიას დაამუშავებდნენ...

მაგრამ სამუშიასთან მათ არაფერი გამოუვიდათ.

**— სხვას ხომ არაფერს დაამატებდით ჩვენს საუბარს?**

— მხოლოდ ერთს, თუ არ დამეხმარებიან ძებნილთა ადგილსამყოფელის დადგენაში, ხელს მაინც ნუ შემიშლიან. ეს დიდი საქმეა და სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

**ესაუბრა**
**ნანა ჩეგიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# »ეს ბანდები იქაურობას მოაცილეთ«

საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში გაიმართა ღია კარის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან კენჭაძე, მოადგილე გოგი ცინცაძე, ავტომფლობელთა ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჩიქოვანი, ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დარჯანია და მძღოლები. აღსანიშნავია, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მფლობელები არ ესწრებოდნენ.

როგორც ბატონმა ლევან კენჭაძემ აღნიშნა, ამიერიდან ეს ღონისძიება სისტემატიურ ხასიათს მიიღებს და ყოველი თვის 5 რიცხვში გაიმართება. ფირმებს, ორგანიზაციებს, მოქალაქეებს საშუალება აქვთ თავიანთი წინადადებები წამოაყენონ, თუ როგორ დავამყაროთ წესრიგი გზებზე.

## ლიცენზირების საკითხი

ლიცენზირების საკითხზე შემდეგი ინფორმაცია იქნა მოსმენილი: თუ ავტომფლობელი მანქანას კომერციისათვის იყენებს, ლიცენზია სჭირდება. მაგრამ ყველა ავტომობილს არ შეიძლება მიეცეს ლიცენზიის უფლება, აუცილებელია ავტოსატრანსპორტო საქმიანობა მართვადი იყოს. ლიცენზია არ არის გადასახადი, ის საწარმომ უნდა შეიძინოს. ლიცენზირება ხდება სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მძღოლებმა არ იციან, ვინ უნდა მისცეს ლიცენზია, ამაზე მათ განაცხადეს, „როცა ჩვენ არენდით ვიღებთ, კეთილი ინებეთ და ყოველგვარი ლიცენზია მოხსენით". იჯარაზე გაცემული მანქანების ლიცენზია არის რამდენიმე სახის, — ერთჯერადი, სამთვიანი... ეს იმის მიხედვით, ვის როგორი სამუშაო აქვს.

მძღოლებს აინტერესებთ, რა ღირებულება უნდა გადაიხადონ, როცა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადიან. ამ კითხვაზე გაურკვეველი პასუხი იქნა გაცემული, დაახლოებით 10—15 ლარი.

კანონი ლიცენზირების შესახებ მისაღებია, აღნიშნა ავტომფლობელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ბატონმა სოსო ჩიქოვანმა. „ლიცენზიების გამცემმა ორგანიზაციებმა ერთიანი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. როგორ შეიძლება დავა იყოს იმაზე, რომ მონოპოლია ერთი ვინმეს ხელში იყოს. კერძო და სახელმწიფო ტრანსპორტზე სხვადასხვა კანონი არსებობდეს".

## ელიტას შეურაცხყოფას აყენებენ

ელიტარული ფენის წარმომადგენლებმა სამართლიანი აღშფოთება გამოხატეს იმის გამო, რომ საგზაო პოლიციელები მათ უხეშად და უზრდელად მიმართავენ. ამის შესახებ ბატონმა გოგი ცინცაძემ განაცხადა: „ვისაც ტვინი არა აქვს, ყველას ავტოინსპექციაში უნდა მუშაობა. ყველა ძაღლი და მამაძაღლი „გაიში" მოვიდა. ეს ხალხი, რა თქმა უნდა, აკადემიკოსებს და პროფესორებს თავის დონეზე ვერ დაელაპარაკება".

ცხადია, დამოკიდებულების ფორმა უნდა შეიცვალოს. საგზაო პოლიციელს და ავტომფლობელს შორის კეთილი, მეგობრული დამოკიდებულება უნდა სუფევდეს. ორივე მხარემ იცოდეს თავიანთი უფლებები და მოვალეობები. პოლიციელში ავტომფლობელი მტერს არ უნდა ხედავდეს. საგზაო პოლიციის წარმომადგენლები თავად უნდა მივიდნენ ავტომფლობელთან, მივსალმონ და ნორმალურად დაელაპარაკონ.

ავტომფლობელებმა ზოგადად ისაუბრეს პოლიციელების უკანონო ქმედებებზე. ამის თაობაზე ბატონმა ცინცაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია კონკრეტული ფაქტების დასახელება. ვინ, როდის, სად და რატომ რა რაოდენობის თანხა გამოძალა ამა თუ იმ პირს. ასე ჭორის დონეზე ლაპარაკი უაზრობა და არაკაცური საქციელიაო.

ერთ-ერთმა მძღოლმა აღნიშნა, რომ ავტოინსპექტორები მათ უსაფრდებიან, რომ ფული გამოძალონ. ბატონი გოგის აზრით „ჩასაფრება" დასაშვებია. კონკრეტულად უსაფუძვლო გაჩერებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, თორემ ავტოინსპექტორი დარღვევას „ხეზე ჩამოკიდებული თუ დამალული შეუნიშნავს", ეს მძღოლის საქმე არ არის.

გოგი ცინცაძემ დაიცვა საგზაო პოლიციელებიც, რომ თავხედი მძღოლები მათ შეურაცხყოფას აყენებენ. მაგალითად: „ეს სამხრე ხვალ აღარ გექნება", „შენი ადგილი აქ არ არის" და ა.შ.

## რა ღირს ტექნიკური დათვალიერების ტალონი?

ამ ტალონს საქართველოს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ღირებულება გააჩნია, განსაზღვრული თანხა არ არსებობს. მაგალითად, ვაკის რაიონში მოქალაქეს 5 ლარი გადაახდევინეს. ხოლო აჭარაში 10 დოლარი ღირს. საქმე ის არის, რომ ავტომფლობელს არ აინტერესებს იცოდეს ოფიციალური ღირებულება და რასაც მოთხოვენ, ბრმად იხდის. ცნობისათვის, ტექნიკური დათვალიერების ტალონის ღირებულება ლარ ნახევარს შეადგენს. ეს გადასახადი გაიზრდება და თუ ავტომფლობელები დროზე არ გადაიხდიან, დაჯარიმდებიან.

ითქვა, რომ ტექნიკურად გაუმართავ მანქანებს თბილისში აღარ აჰრიალებენ. ყველა მანქანა უნდა შეიღებოს და მოწესრიგებული დადიოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ცინცაძემ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს სამხედრო გზაზე მყოფი საზოგადოებრივი რაზმელების მიმართ. რადგან, როგორც მძღოლებმა აღნიშნეს, მათ წვლილი მიუძღვით ყვლეფის საქმეში. ბატონმა გოგიმ ინსპექტორებს უთხრა, „ეს ბანდები იქაურობას მოაცილეთ", თუ მაინც და მაინც ასე ძალიან უნდათ წესრიგის დაცვა, უმჯობესია ეკოლოგიის სამსახურში გადავიდნენ.

დაველოდოთ მომავალი თვის 5 რიცხვს. ვნახოთ, იქნება თუ არა იგივე პრობლემებზე საუბარი.

## აჭარა და თურქი მძღოლები

ქართველმა მძღოლებმა შეშფოთება და გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოს ლიცენზია აჭარაში არ მოქმედებს. შევალთ თუ არა, გვატყავებენო. „გაცილება" — „გამოცილებაში" უამრავ ფულს ძალავენ. ამ დროს კი, თურქი მძღოლები არხეინად „დაგრიალებენ" აჭარაში და საერთოდ საქართველოში გზაზე მათი გაჩერების უფლება არავის აქვს. ისინი კონკურენციას უწევენ ქართველ მძღოლებს. ვაჭრებს თურქული ფირმების ავტობუსებით ურჩევნიათ საქონლის ჩამოტანა, რადგან იაფი ჯდება. და თუ ინსპექტორებმა როგორმე მოახერხეს თურქეთის ავტობუსის გაჩერება, ვაჭარი ქალები არნახულ წივილ-კივილს ასტეხენ და „თავხედ" ინსპექტორს კუდით ქვას ასროლინებენ. თურქი მძღოლები კი მთვრალები დაჰქრიან, დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევა, როცა მათ ტრასებზე მკვლელობა ჩაიდინეს. სახელმწიფომ და ტრანსპორტის დეპარტამენტმა უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

ნინო ზამთარაძე

# არჩეულია გრაჩოვის საპატიო ცოლად...

**25-26 იანვარს** რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი ალმა-ათას ეწვია ვიზიტით. ტაჯიკეთში მყოფმა გენერალმა არ დაიზარა და Ми — 8-ით, რომელსაც ორი სამხედრო ვერტმფრენი ახლდა, პარხარი — ღმერთისა და კაცისგან დავიწყებული რაიონული ცენტრიც მოინახულა. ეს რაიცენტრი სულ რამდენიმე კილომეტრითაა ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარს დაშორებული.

სტუმრების საპატივსაცემოდ ვერტმფრენის დასაჯდომ მოედანზე ცეკვა-თამაში გამართეს დამხვდურებმა. ერთმა ლამაზმანმა გრაჩოვიც გაიწვია საცეკვაოდ, თუმცა ამ უკანასკნელმა იუარა და ბუქნი სხვა გენერალმა ჩამოუარა.

მანქანების კოლონა პარხარის ცენტრისაკენ გაემართა. აქ ერთ-ერთ სახლს წარწერა აქვს „პ.ს. გრაჩოვის საცხოვრებელი სახლი". იქვე, ყველას თვალწინ მოზრდილი ცხვარიც იკლება. ერთ-ერთი ადგილობრივი აქსაკალი კი სიტყვით გამოდის: „ხალხმა მოითხოვა, ჰოდა ჩვენც აგირჩიეთ რაიონის საპატიო მაცხოვრებლად. მერე დავფიქრდით — კი მაგრამ სად უნდა იცხოვროს? გადავწყვიტეთ სახლიც გამოგვეყო. ეხლა ეს სახლი თქვენია — რაც გინდათ, ის უყავით".

სახლის ერთ ოთახში კედელზე ხალიჩა ჰკიდია, რომელშიც სახლის პატრონის გამოსახულებაა ჩაქსოვილი. გრაჩოვს რატომღაც მესაზღვრის ქუდი ახურავს და თვალები ცოტა ზედმეტად აქვს გაზიდული. ადგილობრივი მცხოვრებლები ხმამაღლა გამოხატავენ მოსკოველი სტუმრის ჩამოსვლით გამოწვეულ სიხარულს. „ტიუბიტეიკაც" მიართვეს და ხალათიც, სთხოვენ ჩაიცვას და ისე გადაიღოს სურათი (ეს სურათი მერე ალბათ საპატიო ადგილს დაიკავებს ადგილობრივ მუზეუმში).

„სამწუხაროდ, დიასახლისი რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი სვეტლანა კიმი მივლინებაშია" — წუხს რაიონის მთავარი ექიმი კუდრატ ვალიევი — „თავისი წონა სტუმრობის დროს პავლე გრაჩოვმა სვეტლანა კიმი ხუმრობით თავის საპატიო წარმომადგენლად დაასახელა. ჩვენც ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ — აბა რად ვარგა სახლი დიასახლისის გარეშე და სვეტლანა დიასახლისად და რუსეთის თავდაცვის მინისტრის საპატიო ცოლად ავირჩიეთ".

იქვე ადგილობრივი სოლისტი ძლიერი ტაჯიკური აქცენტით გულმოდგინედ მღერის.

„не очэнь плохо имэт три жэны"...

პროგრამაში გათვალისწინებულია გრაჩოვის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის მონახულება, რომელიც საკმაოდ სუფთაა და კარგადაა მოწყობილი. იქვე ღორთსაშენი საბჭოთა მეურნეობაა, ისიც გრაჩოვის სახელობის... „კი მაგრამ მეურნეობას რატომღა დაარქვით?" ეკითხება თავდაცვის მინისტრი აქსაკალებს „ავადმყოფებისათვის საჭმლის წარმოება საჭიროა? საჭიროა; ჰოდა ჩვენც გადავწყვიტეთ";

მეურნეობის ხელმძღვანელობასთან საუბარში მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ კომპლექსის ნაწილი გადასულიყო მებოსტნეობაზე და მსხვილი რქოსანი საქონლის წარმოებაზე მესაზღვრეებისა და 201-ე დივიზიისათვის. გამოთხოვებისას პავლე გრაჩოვს სთხოვეს დაერგო ხე მეურნეობის სამმართველოს შენობასთან და გაეკეთებინა ხელმოწერა წიგნზე „გ.კ. ჟუკოვი. მოგონებები".



სურათზე: გრაჩოვს სახლის გასაღები გადასცეს

— რითი ავხსნათ თქვენი ასეთი ყურადღება ამ რაიონისადმი? — დაინტერესდნენ ჟურნალისტები დუშანბედან. პასუხი ასეთი იყო:

— მოხდა ისე, რომ პარხართან მე დამაკავშირა ცხოვრებამ და ბედმა. პირველად აქ აღმოვჩნდი სამი წლის წინათ, ჰელიოტროპული ჰეპატიტის საშინელი ეპიდემიის დროს საშინელი სურათი იყო: ხუთი ათას კაცამდე ავადმყოფი, არც მედიკამენტები, არც არაფერი, საავადმყოფოებში მუცელდაბერილი ბავშვები, რომელთაც შემდეგ უზიანდებათ ცენტრალური ნერვული სისტემა. რაღაცამ ელვასავით გამიარა — არ შემეძლო არც ჭამა, არც სმა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დავეხმარებოდით რაიონს სპეციალისტებით, მედიკამენტებით. ორი თვითმფრინავი გამოვაგზავნეთ და ეპიდემია ლიკვიდირებულ იქნა. ამ დროიდან ჩვენ და პარხარის მაცხოვრებლები დავმეგობრდით. თუკი ხალხმა ეს ასე მიიღო, მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სიცოცხლის ბოლომდე შეძლებისდაგვარად დავეხმარო მათ და ჩამოვიდე ხოლმე.

პარხარში შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა.

**P.S.** ისე, ბატონი გრაჩოვი ქუდბედიანი კაცი ჩანს, სადაც არ უნდა ჩავიდეს ან მერსედესებს ჩუქნიან, ან ქრისტესმიერი სიყვარულით ნათელღების წმინდა საიდუმლოს აზიარებენ ან...

ახლა კი მის „ანგარიშზე" საჩუქართა შორის „საპატიო ცოლებიც" იკავებენ საპატიო ადგილს...

მოამზადა
ეკა კალანდიამ

# რუსეთის სტატისტიკა ლტოლვილთა შესახებ 1992 წლის 1 ივლისიდან დაწყებული

რუსეთის ფედერალური სამიგრაციო ორგანოების მიერ რეგისტრირებულია 948144 ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული. რუსეთში ყოფილი კავშირის პრაქტიკულად ყველა რესპუბლიკიდან მორბიან. ამ სფეროში ჩემპიონები არიან: ტაჯიკეთი (178734 ადამიანი), ყაზახეთი (137928), უზბეკეთი (130306), საქართველო (116946), აზერბაიჯანი (100591). ყველაზე ნაკლებად მორბიან ბელორუსიიდან (251) და ლიტვიდან (2271). 165139 ადამიანი იძულებით გადაადგილებულ იქნა რუსეთში ჩეჩნეთის ომის, ინგუშეთ-ოსეთისა და სხვა კონფლიქტების გამო. ჩეჩნეთიდან ლტოლვილის სტატუსით დაფიქსირებულია 111823 ადამიანი.

კომსომოლსკაია პრავდა №21

# ერთ ბედ ქვეშა ვართ — ანუ მალე მოდი გაზაფხულო...

სომხეთის ატომური სადგური სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ დაკონსერვებულია. 1988 წლის შემდეგ სომხეთი საშინელ ენერგოკრიზისს განიცდის. ამ ფაქტით საქართველოში ვერავის გავაკვირვებთ, მხოლოდ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ, ასეთ შავბნელ დღეში მხოლოდ ჩვენ არ ვიმყოფებით.

ერევანში თითქმის მთლიანად გაჩეხილია მწვანე ნარგავები. ცნობილი თავისი იშვიათი ხის ჯიშებით, ერევნის ბოტანიკური ბაღი სავალალო მდგომარეობაშია.



სურათზე: ერევანში გამართული ბაზრობა, რომელსაც კომენტარი არ სჭირდება და თავისუფლად შეიძლება თბილისში გამართულ ბაზრობად მიიჩნიოთ.

## უმწეობა

ევროკომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგა დრო ჰუმანიტარული დახმარება შეუწყვიტოს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, კერძოდ, სომხეთს.

# ძვირფასო მძღოლებო!

თქვენთვის სასურველია თან იქონიოთ ჩვენი გაზეთის ეს ნომერი. მასში დასტამბულია ჯარიმების ნუსხა საგზაო - სატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში.

თქვენ შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი უფლებები, ვინაიდან დამრღვევი მძღოლი დამნაშავე კია, მაგრამ მაინც ადამიანია... საგზაო პოლიციელების თვალში კი, არცთუ იშვიათად, ადამიანი მხოლოდ მაშინ ხდებით, თუ ბარაქიან გასამრჯელოს გადაიხდით.

სასურველია იცოდეთ, რა დარღვევაზე რა თანხა უნდა გასწიოთ, თორემ მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკამ საგზაო პოლიციაშიც მოიკიდა ფეხი, ისე როგორც ყველგან, და ჯარიმას ხშირად შეხედულებებისამებრ გახდევინებენ. გზებზე დახვედრა და წართმევა არსენა ოძელაშვილსაც უყვარდა, მაგრამ იმას ღმერთი როგორ წაახდენდა, მდიდარს ართმევდა — ღარიბს აძლევდა, ჩვენი საყვარელი „ოძელაშვილები" კი ვის აძლევენ, ჩვენ არ ვიცით... ჰოდა, ის მაინც ვიცოდეთ, ჩვენ რამდენი უნდა გადავიხადოთ.

## საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის

| მუხლის ნომერი | დარღვევის სახე | ადმინისტრაციული სახდელი ზომა | | დარღვევის განხილვა წარმოებს |
|---|---|---|---|---|
| | | მართვის უფლების აკრძალვა | ან ჯარიმა შრომის ანაზღაურების | |
| 1 | 2 | 3 | 4. | 5 |
| 116 I ნაწილი | სამუხრუჭე სისტემის და საჭის მექანიზმის უწესრიგობით ა/მ მართვა<br>— უნებართვოდ გადაკეთებული ა/მ მართვა<br>— რეგისტრაციის გარეშე ა/მ მართვა<br>— საგ. საშ. მართვა, მაშუქებზე და საქარე მინაზე მარკირების გარეშე | | 1-2 მინიმალურ ოდენობამდე | დარღვევის ჩადენის ან საცხოვრებელ ადგილზე |
| 116 — II ნაწილი | — მოტოჩაფხუტებით სარგებლობის წესების დარღვევა | | 1-2 მინიმალურ ოდენობამდე | —"— |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 116 — III ნაწილი | — შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალებების განმეორებით | | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 117 | სიჩქარის გადაჭარბება<br>— მოძრაობის რეგულირების სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა<br>— მონიშვნის მოთხოვნათა დაუცველობა<br>— გასწრების, გზაჯვარედინების გავლის, მგზავრთა გადაყვანის, საქვეითო გადასასვლელების წესების დარღვევა<br>— საზოგადო ტრანსპორტის გაჩერების, გავლის სანათი ხელსაწყოებით სარგებლობის, ხმოვანი სიგნალის მიცემის წესების დარღვევა. | გაფრთხილება | 1-3 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 117 | — მოტოციკლეტებისა და სხვა სატრან. საშუალებების მძღოლთა მონაწილეობა ჯგუფურ მოძრაობაში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას | 3 თვემდე | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 117 | — ტექნიკური დათვალიერების გარეშე ა/მ მართვა | | 2-5 მინიმალურ ოდენობით | „—" |
| 118 | — რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა | 6 თვემდე | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 119 — I ნაწილი | ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ მძღოლების მიერ სატ. საშ. მართვა, ან სატ. საშ. გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში, ან ნარკოტიკულ საშ.ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირისათვის, განსაზღვრული წესით სიმთვრალით ან ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედების დასადგენად შემოწმებისაგან თავის არიდება | 1-3 წლამდე | 10—30 მინიმალურ ოდენობამდე | დამრღვევის საცხოვრებელ ადგილზე |
| 119 — II ნაწილი | — იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ან სატ.საშ. სამართავად გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირისათვის. | | 10—30 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 120 I ნაწ. | — წესების დარღვევა, რომლებმაც გამოიწვია საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება | 3 თვით | 2-5 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 120 II ნაწ. | — იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატრ. საშ. ტვირთის გზების, საგზაო ნაგებობების და სხვა ქონების დაზიანება | 6 თვით | 10—15 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 120 III ნაწ. | — სხვადასხვა დარღვევები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კოდექსის 116-119 მუხლებით და რასაც მოყვა ამ მუხლით I და II ნაწ. აღნიშნული შედეგები | | 2-5 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| IV ნაწ. | — იგივე დარღვევები, რაც მოყვა სატ. საშ. ტვირთის და სხვა ნაგებობათა დაზიანება | | 10—15 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| V ნაწ. | — სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების არადანიშნულებით გამოყენება ან იმ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, რომლებიც აღნიშნულ ხელსაწყოებით სარგებლობენ | ხელსაწყოების კონფესკაცია | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| VI ნაწილი | — იგივე დარღვევა ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში განმეორებით | „—" | 20—30 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| 121 I ნაწილი | — სატ.საშ.მართვის უფლების გარეშე ან სატრ. საშ. გადაცემა იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | დამრღვევის საცხოვრ. ადგილზე |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| II ნაწილი | — იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრ. საშ. ტვირთის, გზების, საგზაო ან სხვა ნაგებობათა ან სხვა ქონების დაზიანება. | სატრანსპორტო საშუალების სასყიდით ჩამორთმევა | 10—30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| III ნაწ. | — სატრ. საშ. სამართავად გადაცემა არასრულწლოვანისათვის | „—" | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | „—" |
| IV ნაწ. | — ამ მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული ქმედება იმ პირის მიერ, რომელიც მართავს სხვისი საკუთრების სატ. საშუალებას. | | 20—40 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| V ნაწ. | — სატ. საშ.მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მძღოლის მოწმობა, ან სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები | | 1 მინ. ოდენობით | „—" |
| 122 I ნაწ. | — სატ. საშ. სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან შენიღბულისხვაგვარად შეცვლილი სანომრე ნიშნებით მართვა | სატრ. საშუალ. სასყიდით ჩამორთმევა | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| II ნაწ. | — იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვა პირის ან საწარმოში დაწესებულ კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას | | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| შენიშვნა | — ის პირები, რომლებიც ამ საშუალებით სარგებლობენ ინვალიდობასთან დაკავშირებით | | 1 მინიმალური ოდენობით | საცხოვრებელ ადგილზე |
| 123 I ნაწილი | — საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომლის მონაწილეც თავად არის | 1-3 წლამდე | 10—30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| II ნაწილი | — პოლიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობა სატრ. საშ. გაჩერების შესახებ 1-3. წლამდე | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 124 I ნაწ. | — ქვეითად მოსიარულეთა,ველოსიპედისტთა და სხვა პირთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა | გაფრთხილება | ნახევარი მინ. ოდენობით. | დარღვევის ჩადენის ადგილზე |
| II ნაწ. | — იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ავარიული ვითარება, ან მოძრაობის შეფერხება | | 1 მინ. ოდენობით | —"— |
| III ნაწ | — იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სატრ. საშ. ტვირთის, საგზაო და სხვა ქონების დაზიანება | | 5 მინ. ოდენობით | საცხოვრებელ ადგილზე |
| | 125 — თანამდებობის პირების მიერ ისეთ გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება, რის გამოც მათი ექსპლუატაცია აკრძალულია, ან გადაკეთებულია სათანადო ნებართვის გარეშე, ან რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით ან არ გაუვლიათ სახ. ტელ. შემოწმება ან არ გააჩნიათ მარკირება მაშუქებსა და საქარე მინებზე ან გამონაბოლქვ პირებში აღენიშნებათ ნორმაზე მეტი გამაჭუჭყიანებული ნივთიერება | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 126 | — თანამდებობის პირების მიერ სატრ. საშ. სამართავად დაშვება ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მძღოლების, ან იმ აირებისა, რომლებსაც არ აქვთ იმ საშუალებათა მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება სხვა სატრანსპორტო საშ. სახელმწიფო ნომრებით ან სახ. ნომრების გარეშე. | | 10—20 მინიმალურ ოდენობამდე | —"— |
| 133 I ნაწილი | — გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა განზრახ დაზიარება, აგრეთვე საგზაო მოძრაობის შესაფერხებლად დაბრკოლების განზრახ შექმნა | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | —"— |
| II ნაწილი | — იგივე ქმედება ჩადენილი გაუფრთხილებლობით გამოიწვევს დაჯარიმებას | | 3-5 მინიმალურ ოდენობამდე | —"— |
| 136 I ნაწ. | — გზების, რკინიგზის გადასასვლელების და სხვა ნაგებობების მოვლა-შენახვის წესების დარღვევა, დროულად აკრძალვის ზომების მიუღებლობა | | 10—30 მინიმალურ ოდენობამდე | —"— |
| II ნაწ. | — თანამდებობის პირები, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს თვითნებურად ობიექტის მშენებლობა, გზის პირზე ვაჭრობა, სავალი ნაწილის გადათხრა შეთანხმებების გარეშე, გზებთან თვითნებური მიერთება, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების მიღება სარემონტოდ ნებართვის გარეშე. | | 20—40 მინიმალურ ოდენობამდე | |

გაგრძელება შემდეგ ნომერში



არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.



# მარცხი პირველივე მგზავრებთან

ასე ოცდახუთი წლის წინ, მე დიდიხნის ოცნება ავისრულე და როგორც იქნა ვიყიდე ჩემი საკუთარი პირველი ავტომანქანა. მძღოლი, რომელიც ტარებას მასწავლიდა, უნდა გამოვტყდე, რომ არ იყო ჩემით აღტაცებული, ძალიან გამიჭირდა საჭის დამორჩილება, არა და მანქანა უკვე ჩემი იყო, ხომ უნდა მეტარებინა? ავად თუ კარგად, როგორც იქნა მივიღე მართვის უფლება. უსაზღვროდ ბედნიერს მინდოდა ყველა ჩამესვა და მთელი თბილისი მეტარებინა, ყველას სიხარულით შევციცინებდი თვალებში, იქნებ მთხოვონ, რომ სადმე წავიყვანო მეთქი. ერთ საღამოს, წარმოდგენა რომ დამთავრდა, ჩემთან მოვიდნენ რამაზ ჩხიკვაძე, რობერტ სტურუა და ლია გუდაძე, სახლში მიდიხარო? მკითხეს, სიხარულით ლამის გადავკოცნე ისინი, აბა არ მივდივარ მეთქი? შევძახე, გასაღები ამაყად დავატრიალე ხელში, წინ გავუძეხი პირველ მგზავრებს, თეატრის ფარეხიდან ძნელაძის ქუჩით სანაპიროზე გავედი და გაზს მივაწექი. ჩემი სტუმრები დაძაბულნი კი იყვნენ, ეშმაკმა იცის რას გვიზამსო, მაგრამ თან გულს იმაგრებდნენ, ტარება რომ არ იცოდეს, არ ჩაგვსვამდაო.

საბურთალოსკენ გადასვლის მაგიერ მე მანქანა დიღმისკენ წავიყვანე, მგზავრები გაჰკვირდნენ და ერთხელ კიდევ შეამოწმეს ჩემი რეისი, სახლში ხომ მიდიხარო, მკითხეს. ჰო მეთქი, ვუპასუხე, არა და აშკარად დიღმისკენ მივდივარ. ისევ შემეკითხნენ „საბურთალოზე არ ცხოვრობო?“, ჰო მეთქი, ვეუბნები. მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს „კი, მაგრამ“... დაიწყო რობიკომ, მაგრამ რამაზმა იდაყვი გაჰკრა და ანიშნა „თავი დაანებე, არ გავაბრაზოთო!“. ისინიც გაჩუმდნენ, მე არასოდეს არ მინახავს ასე დადუმებული რამაზი, ხმას არ იღებდა და როცა ერთმანეთს გადახედავდნენ, ის ტუჩებზე ხელს აფარებდა, დააცადეთო!

ბოლოს ლია გუდაძე მოთმინებიდან გამოვიდა და მომაძახა:

— ქალო, ჩვენ საბურთალოზე მიგვეჩქარება და ამიტომ გამოგყევით, თუ არ მიდიოდი, გეთქვა, დიღომში რა ჯანდაბა გვინდა?

— მაცალეთ ბატონო, ჩემი საქმე მე ვიცი, დიღომში მარტო ერთ ადგილას ვიცი მანქანის მოტრიალება, ასე მასწავლიდა ჩემი მძღოლი — არშაკ იშტოიანი (ეს გვარი დამამახსოვრდა ფეხბურთელის გამო). იქ რომ მოვტრიალდები, შემდეგ გადავალ საბურთალოს ხაზზე, სხვაგან ვერ ვატრიალებ! ამის თქმა და იმათი ენების ჩაყლაპვა ერთი იყო, მე კი გზას განვაგრძობ. ამასობაში ჩემს წინ წითელი შუქნიშანი აინთო, სატერფულს უცებ დავაჭირე ფეხი, ცოტა კი ვაჯანჯღარე მგზავრები, მაგრამ მანქანა მაინც გავაქვავე ადგილზე. დიდხანს არ ვმდგარვართ, აინთო მწვანე შუქიც, არიქა, მიშველე, ღმერთო, პირველ სიჩქარეში ძლივს ჩავაგდე და როგორც იქნა დავძარი მანქანა. უკანიდან ისე მიპიპინებდნენ შოფრები, რომ დავიბენი, ერთმა-ორმა კიდევაც შემიკურთხა და დედაჩემი უდიერად მოიხსენია, მაგრამ ეს არ მეწყინა, ეს ჩვენში — შოფრებში მოდის ხოლმე!

— ახლა კი გაჩვენებთ იმ ადგილს, სადაც მანქანის მობრუნება ვიცი! იქედან კი მალე გადავალ საბურთალოს ხაზზე, — გავახარე ჩემი მგზავრები.

ისინი თითქოს დაიხოცნენო, ხმას არ იღებდნენ, გაკვირვებულმა გადავხედე მათ და რას ვხედავ, არცერთი აღარ იჯდა მანქანაში!

თურმე სანამ მე წითელ შუქთან „რიჩაგს“ ვეჭიდებოდი, სამივენი ჩუმად, უხმაუროდ გაპარულან მანქანიდან!



ლელა კოდალაშვილის ილუსტრაციები

ღუთშესვენება - იუმორის გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კურიოზები

რუბრიკას უძღვება საქართველოს სახალხო არტისტი

ელენე საყვარელიძე

# «გუშინდელნის» ერთი დღე

შალვა დადიანის „გუშინდელნი“ თემურ ჩხეიძის დადგმით, ერთ-ერთი ისეთი წარმოდგენაა, რომელიც რუსთაველის თეატრის ისტორიაში შევიდა. ჩვენ არ ვიქნებით, მაგრამ „გუშინდელნი“ იქნება. განიხილავენ, შეისწავლიან, რას აღარ მოიგონებენ, დაბერებული თეატრმცოდნეები წამოიცრემლებიან, ახლები დისერტაციებს დაიცავენ, დააყენებენ უცხო სიტყვების კორიანტელს, ასეთია რეჟისორული ინტერპრეტაცია და მისი სცენური ადაპტაციაო, სპექტაკლის რეტროსპექტრული არსი სრულ უნისონშია მის გლობალურ წარმატებასთან და სინქრონულად გამოსახავს ნაწარმოების პერმანენტულ პოლიფონიურობას, მართალია ამ წარმოდგენას არ ელირსა უცხოეთში ანგაჟირება, მაგრამ მისმა ტიპაჟებმა მიგრაცია მოახდინეს და უხვად შვეს სტერეოტიპული წარმოდგენები, მაგრამ მისმა ასეთმა დილეტანტიზმმა ვერ დაამდაბლა წარმოდგენის იმპოზანტური სულისკვეთებაო, ასე იტყვიან...

მოვა დრო, მკვლევარნი მოიმარჯვებენ ლუპას, გადაშლიან უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონებს და გაიგებენ, რომ „გუშინდელნი“ ეროვნული ხასიათისა და მნიშვნელობის წარმოდგენა ყოფილა და ამიტომაც ჰქონია დიდი ემოციური ზემოქმედება.

ასე იტყვიან, მაგრამ არავინ გეტყვით იმას, რასაც ახლა მე მოგითხრობთ.

კვირა დილის წარმოდგენა იყო მოზარდებისათვის, მონაწილეებმა ტანსაცმელი ჩავიცვით, გრიმი გავიკეთეთ და მესამე ზარიც გაისმა.

დაიწყო სანახაობა: კეკელა — ლეილა ძიგრაშვილი სუფრას ალაგებს, შემოდის კოწია — კახი კავსაძე, შემდეგ პაპუნა — ავთო მახარაძე, მე — ფოფოდია შესასვლელად ვემზადები. ამ დროს რაღაც მღელვარება დაიწყო, ატყდა ისტერიული გადარბენ-გადმორბენა, მოგუდული სიცილი. გაკვირვებულმა წარმოდგენის წამყვანის ვალიკო გაბისიანის დაფარჩხული თითები და გადმოკარკლული თვალები შევნიშნე, იგი მსახიობებს უხმოდ, მიმიკითა და არტიკულაციით ანიშნებს „გაჭიმეთ, ძალიან გაჭიმეთო“. დაბნეული არტისტები პიესის სიტყვებს მექანიკურად იმეორებენ და გაოცებული შეჰყურებენ ვალიკოს, რომელსაც მალე გვერდით თემურ ჩხეიძე ამოუდგა და ისიც ჯიუტად იძახის „გაჭიმეთ, გაჭიმეთო“!

ლამზირა ჩხეიძე (აგრაფინა) და ლეილა თითქოს რაღაცას მიხვდნენო, დიდი მაგიდის გადასაფარებელს ეცნენ და ისე დაუწყეს გაჭიმვა, კინაღამ გახიეს.

— არა, სუფრა არა, წარმოდგენა, წარმოდგენა გაჭიმეთ! — ჟესტით აჩვენებს ვალიკო გაჭიმვის ილეთს. მსახიობები სულ დაიბნენ. მე ჯერ არ შევსულიყავი სცენაზე და ვიკითხე, რაშია საქმე, რა გავჭიმოთ, გაგვაგებინეთ მეთქი! ვალიკო კი ისედაც ენას უკიდებს და ახლა ნერვიულობისაგან სულ მიება ძირში: —რრრა და... დდდათო კვირ...კვირცხალია საცაა სცენაზე უნდა შემოვიდეს და თურმე თბილისშიც არ არის. მანქანა გავაგზავნეთ ტრი... ტრი... სტან ყველაიძესთან და სანამ ის მოვა, გააჭიმეთ წარმოდგენა, იქნებ მოუსწროს...

ამასობაში ჩემი შესვლის დროც მოვიდა და იმის მაგიერ, რომ მხიარული კისკისით შევვარდე სცენაზე, დაბნეული, დასიცხული კამეჩივით შევიზლაზნე. კახი კავსაძე გაშტერებული მიყურებს, რას შვრები ფოფოდიაო;

— ვჭიმავ!... კახი გონებამახვილობის და იუმორის ზღვაა, მაგრამ სცენაზე მასხრობას ვერ ურიგდება და მაგრად შემომიბღვირა, მე იძულებული ვიყავი ჩამეჩურჩულებინა, რაშიც იყო საქმე.

—ჰოოო, სთქვა და ჩვენი სიმღერის დროც მოვიდა, მე გიტარა მოვიმარჯვე და დავიწყე: ჰოი და ჩვენს მეზობელ ოლიას, ჰოი და რა ბარკალი ჰქონია... ბოლო სიტყვები მიმღერებით ორჯერ უნდა ითქვას, მაგრამ მე ვისარგებლე გაჭიმვის შესაძლებლობით და ამოტეხილ გრამფირფიტასავით მივაყოლე: რა ბარკალი... რა ბარკალი... რა ბარკალი... ჰქონია და გაჩერების არავითარი პერსპექტივა არ მქონდა, სანამ კახიმ არ მიყვირა. მე ხმა ჩავიგდე, მაგრამ ისე როგორ უნდა გამეჭიმა სცენა, ვერ მოვიფიქრე...



ახლა ერთი წუთით ყურადღება კულისებში გადავიტანოთ, რა ხდება იქ? რა და მოუყვანიათ ტრისტანი, სასწრაფოდ გადაუცვია სტრაჟნიკ ქილორდავას მუნდირი, არ უკითხავს, რა ხდებაო და პირდაპირ შემოგვეჭრა სცენაზე, მაგრამ კურიოზს კურიოზი დაემატა და ძალიან ადრე შემოვიდა. ლეილა ძიგრაშვილმა იცის, რომ უნდა გაჭიმოს სცენა, მაგრამ ის სულ სცენაზეა და არ იცის რატომ უნდა გაჭიმოს, დაინახა თუ არა სტრაჟნიკი, ერთი „ვუის“ მაგიერ მორთო ყვირილი:

ვ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ-იო! გაჭიმა რა! კულისებში ისევ აწრიალდნენ ვალიკო და თემური, ტრისტანი თურმე ძალიან ადრე შემოვიდა, ბევრი სალაპარაკო დაგვრჩა და დაგვიძახეს: მოჭერით, შეამოკლეთო! თან ხელით მაკრატლის მოძრაობას გვაჩვენებენ, ამან საბოლოოდ მოგვიღო ბოლო... მე მივვარდი სტრაჟნიკს, როგორც სცენარში იყო, საკურკუროდ ვექაჩები ავანსცენისაკენ, ის კი რატომღაც არ მომყვება, მე ჩემი გავიტანე, გადავძლიე, წინ წამოვაგდე, დარბაზში სიცილი ატყდა და რას ვხედავ? თურმე ტრისტანს იმ სიჩქარეში ჯინსის შარვალზე გადაუცვამს სტრაჟნიკის მუნდირი და ამიტომ მიძალიანდებოდა და მაგიდას ეფარებოდა, გასაგებია დარბაზის რეაქცია, ისე ებრძოდა მის ტანზე ერთმანეთს საუკუნის დასაწყისის სამხედრო მუნდირი და თანამედროვე მოდის ციებ-ცხელება ჯინსი და ბოტასები, რომ ძნელი იყო თავის შეკავება, ტრისტანი კი ისე იდგა წინა პლანზე, თითქოს, მთლად დედიშობილა ყოფილიყო... კულისებისაკენ შევბრუნდი, რათა სიცილი არ შემმჩნეოდა, თემური სადღაც გამქრალიყო... ვალიკო გაბისიანი კი... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სიმწრით გვერდით ფარდაზე იყო ჩამოკიდებული და მტკივნეულად იკლაკნებოდა...

ღმერთო, ეს რა წარმოდგენა იყო! არის ერთი გასართობი სათამაშო: კარტებს სიმაღლეზე დააწყობენ მწკრივში, ბოლოში ერთერთს ხელს წაჰკრავენ და გიყვარდეს! ყველა კარტი ერთმანეთზე მიყოლებით წაიქცევა. ასე მოხდა იმ დღესაც, ყველა კარტი დაყირავდა, ყველაფერი შეიცვალა, ყველა შეიშალა და ბოლომდე ასე „საზეიმო მარშით“ დავასრულეთ ეს სანახაობა, რომელზეც თეატრალური კრიტიკოსები ვერაფერს დასწერენ, ჩვენ კი სიამოვნებით მოვიგონებთ იმ მხიარულ დღეს...

ერთი წუთით: ამ წარმოდგენას ერთი თეატრალი კაცი დასწრებია თავის შვილიშვილითურთ, იგი აღტაცებული შემოიჭრა კულისებში, მადლობა მოგვახსენა სიამოვნებისათვის და დასძინა: არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით გადმოსცემთ ქართველ თავადაზნაურთა დაბნეულობას და ეპოქალურ განწირულობასო...

## ბორის ელცინი (პაკროსი) ყურადღებამ შეაწუხა



**ბორის ელცინი** — უმცროსი — მოსკოვის №1243 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. ყოველდღე ბორისი სკოლაში ორი მცველის თანხლებით დადის. კითხვაზე, მობეზრდა თუ არა დაცვის მზრუნველობა, უმცროსმა ელცინმა უპასუხა: „გულს მირევს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მათგან ივლისში გავთავისუფლდები, ყოველ შემთხვევაში, მშობლები ამას მპირდებიან"... შეგახსენებთ, ივლისში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

„აგანიოკი" №51

## "აზოტი" იმპოტენციას იწვევს

**თბილისის** ანთროპოლოგიური კაბინეტის პაციენტების 80 %-ს შეადგენენ მამაკაცები... რუსთავიდან. როგორც ამბობენ, მამაკაცების იმპოტენციას გამომწვევი მიზეზი რუსთავში ქიმიური ქარხნების არსებობაა. განსაკუთრებით საშიშია მამაკაცებისათვის ქარხანა „აზოტი".

BGI

## კიდევ ეწევი, მელანო?

**გაიღეთ** რაღაც 30—60 ლარი და ა ქვენ სიგარეტის წევას თავს დაანებებთ. საქართველოში პირველად გაიხსნა სამკურნალო კაბინეტი იმათთვის, ვისაც უნდა მავნე ჩვევას თავი დაანებოს. ავადმყოფებს უმკურნალებენ უცხოური მეთოდიკით და ფსიქოთერაპიით.

BGI

# ჰოროსკოპი

## ასტროლოგიური კალენდარი

### 9 თებერვლიდან 15 თებერვლამდე

### ვერძი



— 8 თებერვალს ჯობია მოთმინება გამოიჩინოთ, რაც უფრო თავშეკავებული იქნებით, მით უკეთესია თქვენთვის. 9 თებერვალს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ნუ გარისკავთ, ხოლო 10 თებერვალს ჯობია არაფერი არ მოიმოქმედოთ. პლანეტები ამ დღეს უარყოფით გავლენას ახდენენ თქვენზე და შეეცადეთ არავითარი საქმიანობა არ დაიწყოთ. სამაგიეროდ 11 თებერვალს ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს, 12 თებერვალს თქვენი შრომისნაყოფიერება მოიმატებს, ხოლო მოულოდნელმა მოგზაურობამ შეიძლება 14-ში თქვენს მომავალთან შეგახვედროთ.

### კურო



— 8 თებერვალს ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. სამაგიეროდ, გაფრთხილდით 9 თებერვალს, იოლად ნურავის მიენდობით. 10 თებერვალს ჯობია არანაირი საქმე არ წამოიწყოთ. 11 თებერვალს ჯანმრთელობას მიხედეთ, ჯობს მგზავრობას თავი აარიდოთ. მით უმეტეს, რომ შეიძლება სულ ტყუილად იმგზავროთ. გაფრთხილდით, შეიძლება 13 თებერვალს მოგატყუონ, მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიყვარულს, შეიძლება განიცადოთ იმედგაცრუება.

### ტყუპები



— 8 თებერვალს თქვენი შრომისნაყოფიერება მოიმატებს, ნებისმიერი საქმიანობა 9-ში წარმატებას მოგიტანთ. თუმცა წარმატება სიყვარულში არ გელოდებათ 10 თებერვალს. სამაგიეროდ 11 თებერვალს გაქვთ შანსი სასიამოვნო საზოგადოებაში მშვენიერი საღამო გაატაროთ. 12 თებერვალს გიჯობთ მოთმინება გამოიჩინოთ, 13 თებერვალს რისკზე ნუ წახვალთ, ეს თქვენი დღე არ არის. ხოლო 14-ში ჯობია სახლში დარჩეთ და არავითარი ახალი საქმე არ დაიწყოთ.

### კიბორჩხალა



— 7 თებერვალს თქვენი ცხოვრება მოულოდნელ მიმართულებას მიიღებს, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებები. 9-ში ნუ იჯიუტებთ და ნუ იძუნწებთ, 10-ში კი შეეცადეთ მარტო არ დარჩეთ, გართობა ზედმეტი არ მოგივიდეთ. 11-ში შეიძლება სიცარიელის გრძნობა დაგეუფლოთ. სამაგიეროდ 12-ში მოულოდნელი ფინანსური მოგება გექნებათ. ამიტომ 13-ში თავისუფლად შეგიძლიათ საყვარელ პიროვნებას ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნათ. ხოლო 14-ში სიყვარულის დღეს, მასთან ერთად მშვენიერი დრო გაატაროთ.

### ლომი



— თუ 8 თებერვალს მოთმინებას გამოიჩენთ და არ გაჯიუტდებით, შეიძლება 9-ში დიდი ხნის ნანატრი საჩუქარიც მიიღოთ. თუ 10 თებერვალს სახლში დარჩებით და თავს მიხედავთ ჯობია. სამაგიეროდ 11 თებერვალს ნურავის მოერიდებით, თქვენი აგრესიულობა მთლიანად დახარჯეთ. 12-ში ნუ მოინდომებთ ექსტრასენსებთან ურთიერთობას, 13 თებერვალს თქვენ სოლიდურ ხალხთან კონტაქტი გელოდებათ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. ჯოლო 14-ში არ არის გამორიცხული თქვენს მომავალ მეორე ნახევარს შეხვდეთ.

### ქალწული



— 8 თებერვალი თქვენთვის მშვენიერი დღეა ნებისმიერ საქმის დასაწყებად. მით უმეტეს, რომ 9-ში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. მაგრამ ფრთხილად. 10-ში თავს პირადი გრძნობებით ნუ გადაიტვირთავთ. ენერგია შეინახეთ 11-ისთვის, ამ დღეს შეიძლება სტუმრად წახვიდეთ, ხოლო იქ გაცნობილი პიროვნება შეიძლება თქვენთვის ძალიან ძვირფასი გახდეს. ოღონდ ნუ აჩქარდებით, განსაკუთრებით 13-ში, თარსი დღეა, ხოლო 14 თებერვალს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

### სასწორი



— 8, 9, 10 თებერვალს ნებისმიერი საქმე შეგიძლიათ დაიწყოთ. ეს თქვენთვის ხელსაყრელი დღეები იქნება. 11 თებერვალს შემოქმედებას დიდ დროს ნუ დაუთმობთ, ნურც სიყვარულს, რადგან იმედგაცრუება გელოდებათ. ამის გამო პესიმიზმი დაგეუფლებათ და შეეცადეთ 12-ში მარტო არ დარჩეთ. 13-ში ფრთხილად მოექეცით თქვენს ახლობლებს და მოემზადეთ 14 თებერვლისთვის. ეს დღე სიურპრიზებს გიმზადებთ, შეიძლება ახალი ცხოვრებაც კი დაიწყოთ.

### მორიელი



— თუ მოთმინებით მოექცევით თქვენს მეგობარს 8 თებერვალს, იგი აუცილებლად დაგასაჩუქრებთ 9 თებერვალს. 10-11-12 თებერვალი კარგი დღეებია საქმის გასაკეთებლად. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან და ნუ იზარმაცებთ. მით უმეტეს, რომ 13 რიცხვში ნებისმიერი საქმე მოგიტანთ წარმატებას. 14-ში კი ცოტა ფრთხილად, შეიძლება მოგატყუონ.

### მშვილდოსანი



— მიიღეთ 8 თებერვალს ნებისმიერი მიპატიჟება. ეს საღამო თქვენთვის დაუვიწყარი იქნება. თუ 9 თებერვალს საქმიანი შეხვედრა გაქვთ დაგეგმილი ან მიმლინება, ყველაფერს მოაგვარებთ. არ გადადოთ გამგზავრება 10 თებერვლისთვის, ამ დღეს არ გირჩევთ მგზავრობას. 11 თებერვალს გამოიჩინეთ ინიციატივა და თუ საჭირო იქნება აგრესიულობაც. ეს წარმატებას მოგიტანთ. სამაგიეროდ 12, 13, 14 თებერვალს მშვიდი დღეები გელოდებათ.

### თხის რქა



— 8 თებერვალს სასიამოვნო ახალ ამბებს შეიტყობთ. ხოლო 9-ში შეეცადეთ პირადი ცხოვრება მოიწყოთ, მიუდექით სიყვარულს შემოქმედებითად! ოღონდ ნუ გადაამლაშებთ, თორემ 10-ში პირში ჩალას გამოგავლებენ. სამაგიეროდ 11-ში ფინანსურ მხარეს მოაგვარებთ და ამიტომ 12-ში მშვენიერ ხასიათზე იქნებით და შეიძლება 13-ში სტუმრად წახვიდეთ. 14-ში ბავშვებს მეტი დრო და ყურადღება დაუთმეთ.

### მერწყული



— თქვენ ფული გჭირდებათ? 8 თებერვალს შეგიძლიათ ფინანსური პრობლემები მოაგვაროთ. 9-ში თავშეკავებულობა გამოიჩინეთ, თორემ 10-ში შეიძლება ავადაც გახდეთ. 11-ში შეგიძლიათ ალკოჰოლური სასმელებიც მიირთვათ, ხანდახან ესეც საჭიროა. 12-ში ელოდეთ რაიმე პერსპექტიულ წინადადებას, ხოლო 13-ში თუ საქმიან შეხვედრას დაგეგმავთ, წარმატება გარანტირებული გექნებათ. 14 თებერვალს კი მოთმინებით აღიჭურვეთ და თავშეკავება გამოიჩინეთ.

### თევზები



— თუ 8 თებერვალს შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ, საქმეში წარმატებას მიაღწევთ. 9-ში მატერიალურ მხარეს მოიწესრიგებთ, ოღონდ 10 თებერვალს ყოველგვარ მკითხაობას მოერიდეთ, თუ 11-[illegible] სიყვარულს აგიხსნიან. [illegible] ჯობია ისევ ფულზე იფიქრო[illegible]. 12 თებერვალი ამისათვის ხელსაყრელი დღე იქნება. 13 თებერვალს მოგელიდებათ ვინმეს საჩუქარი გაუკეთოთ. ამისი მიზეზიც გამოგიჩნდებათ 14 თებერვალს ახალი სასიამოვნო ამბავს შეგატყობინებენ და სტუმრად დაგპატიჟებენ.



**თარაზულად:** 3. ტყვიები სანადირო თოფის სასროლად; 6. რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე; 8. ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 10. ქართველი მარშალი; 12. კარგი ბედის მქონე; 18. მსკდომი საარტილერიო ჭურვი; 19. ბუფეტი ჭურჭლისათვის; 20. გაუმჭვირ საგნებში შეღწევადი უხილავი სხივები; 21. შესაძლოა, როგორც ჩანს (სინონიმი); 28. უცხოეთის საფეხბურთო გუნდში მოთამაშე ქართველი სპორტსმენი; 29. მთელი გუნდის მიერ მოწინააღმდეგის პირისპირ თამაში ახლო მანძილზე კალათბურთსა და ხელბურთში; 30. მოხეტიალე მომღერალი ძველ საბერძნეთში; 31. შნო, მოხერხება; 33. საესტრადო ჟანრის სიმღერების შემსრულებელი საფრანგეთში; 34. საგანგებო სათავსი ტაძრებსა და ეკლესიების იატაკქვეშ ან მათთან ახლოს; 35. უარყოფითი მსჯელობა რისამე შესახებ; 36. მზის სისტემის პლანეტა;

**შვეულად:** 1. მოხეტიალე ბერი ინდოეთში, რომელიც აჩვენებს გაწვრთნილ ცხოველებს, აკეთებს ფოკუსებს; 2. [illegible] გარსკვლავთაგანი; [illegible] „კასიო"; 4. ქართველი [illegible]; 5. [illegible]; [illegible]; 14. [illegible]; 15. [illegible]; 16. ქართველი [illegible]; 17. უდიდესი ნავსადგური ავსტრალიაში; 22. რითმის შეხაკადი; 23. თიდაშოსის სახის ერთ-ერთი შემქმნელი ქართულ სცენაზე; 24. კამერულ-ვოკალური მუსიკის ჟანრი; 25. ლითონი; 26. საზღვრით შემოფარგლული მიწა-წყალი; 27. მდინარე აფრიკაში; 32. თავაზიანი მიმართვა, სინონიმი სიტყვებისა „მიირთვით!" „აიღეთ!"; 33. თავის ერთი მხარის დროგამოშვებით ტკივილი

გიორგი გასეტაშვილი

## გულს დარდი შამოსწოლია... ღვინო უნდა ვსვათო

**ჩვენს** გაჭირვებულ ცხოვრებაში, როდესაც წამალს ცეცხლის ფასი უკიდია, უცხოელი ექიმები გვირჩევენ წამლის სახით ალკოჰოლი მივიღოთ. ამერიკელი ექიმი ჩარლზ ფუჩსი თვლის, რომ ორმოცდაათ წელს გადაშორებული ქალები სიცოცხლეს გაიხანგრძლივებენ, თუ ყოველდღე 1,5-4,9 გრ სპირტიან სასმელს მიიღებენ. ხოლო ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებს, მათთვის რეკომენდირებულია დღეში ერთი ჭიქა ლუდი, ან ნახევარი ჭიქა ღვინო. სასურველია წითელი. გარდა იმისა, რომ წითელი ღვინო დადებითად მოქმედებს სექსუალურ აქტიურობაზე, ინფარქტით სიკვდილიანობის რისკსაც დაბლა სწევს. ასე რომ, დალიეთ ბატონებო, ოღონდ ზომიერად.




მთავარი რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები: 93-20-36, 93-19-99 93-18-41